სარგიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 7 აპრილი 2001 №62 (1335) | ფასი 50 თეთრი

საქართველო საბრძოლველად წავიდა

2000 წლის 2 აპრილი. საქართველო — რუმინეთი 20:23. აბა, ბუქარესტში იქნება ჯახი!

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური. 7 აპრილი

რუმინეთი - საქართველო

ბუქარესტი. «სტიაუას» სტადიონი. 13 საათი

დღეს, ჩვენი დროით სამ საათზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუმინელებს ეთამაშება ბუქარესტში. ბორჯღალოსნებმა უკვე არაერთი გამოცდა ჩააბარეს მაყურებელს, მეტოქეს და საკუთარ თავსაც, მაგრამ დღევანდელი გამოცდა განსაკუთრებულია.

ყველას მოეხსენება, რომ რუმინეთი არც რუსეთია, არც ესპანეთი და არც პორტუგალია. ის ბევრად მეტია, ვიდრე სამივე ერთად აღებული. ათეული წლებია, მას მყარად უჭირავს ადგილი ევროპული რაგბის დიადთა შორიახლოს, საქართველო კი ახლა იწყებს ხანგრძლივ და მუხლჩაუხრელ ბრძოლას სწორედ ამ ადგილისთვის.

აჰ, რამდენი ბრძოლა, შრომა, გამოცდილება სჭირდება სარაგბო თამაშში ნაბიჯის წინ წადგმას. რამდენი ოსტატობა და რამხელა თავზე ხელის აღება...

ჩვენ ვიცით, საქართველო არ გამგზავრებულა რუმინეთში ერთი დაგეგმილი, შეჩვეულად წასაგები თამაშის ჩასატარებლად. საქართველო საბრძოლველად და მოსაგებად წავიდა, წავიდა ნამდვილი გამოცდისთვის და ეგებ ამ თამაშში შედეგზე არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოცდის ჩაბარებაც იყოს.

ჩვენ კი გული გავიმაგროთ და კიდევ ერთხელ დავძახოთ:

მიანვა!!!...

იხილეთ მეათე გვერდი

გორდა სიონი 0:3 ფედერაციამ ჩამწყობებს ამოაწყობინა

იხილეთ მესამე გვერდი

განაჩენი სამეულმა გამოიტანა: ალექსანდრე ჩივაძე, მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია

გურამ დოლენჯავილის ფოტო

შინდისფერი ოცნება

ძოძუაშვილი იცავს, ყიფიანი უტევს

ემოციები ჩაცხრა. ხალხი ნელ-ნელა ივიწყებს იმ გულსატკივარ საღამოს, რომელსაც დიდი იმედით ელოდა — 28 მარტს, თბილისში რუმინელთაგან ქართველთა ნაკრების დამცირებას. მას შემდეგ 10 დღე გავიდა და ჩვენც ახლა, ცივ გონებაზე ვთხოვეთ ინტერვიუ ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს, რევაზ ძოძუაშვილს

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

— ბატონო რეზო, კაუნასში ლიტვასთან და ანკონაში იტალიასთან თითქოს ნორმალურად ითამაშეთ და ქომაგებსაც რუმინელთა შინ დამარცხების იმედი მიეცათ. რა მოხდა 28 მარტს? რატომ ითამაშა ნაკრებმა ასე უსუსურად?

— საქმეც ისაა, რომ გუნდმა, ერთი შეხედვით, ლიტვასა და იტალიაში კარგად ითამაშა და ფეხბურთელებს თავი ვარსკვლავები ეგონათ. რუმინელებმა ყველანი მიწაზე დაუშვეს. კაუნასში მოგება ბიჭებს თავში აუვარდათ. ეს თქვენი, ჟურნალისტების ბრალიცაა. გუნდიცაში აიყვანეთ. ფეხბურთელებსაც თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენა შეექმნათ. ასე არ შეიძლება. ფაქტებს ნუ აბუქებთ...

— რა გავაბუქეთ? ჟურნალისტები რა შუაში ვართ. კონკრეტულად თქვით.

— არის რაღაც ზღვარი, რომელსაც არ უნდა გადახვიდე. როცა აქებთ და ადიდებთ ზოგ მოთამაშეს, თავი მართლაც რაღაცად წარმოუდგენიათ, ფსიქიკა ეცვლებათ.

— რუმინელებთან წაგებაში თქვენი და თქვენი კოლეგის ბრალს ვერ ხედავთ?

— ჩვენი ბრალი, უპირველესად, ისაა, რომ ამ მატჩისთვის მეკარე ვერ მოვამზადეთ სათანადოდ. ვერ შევარჩიეთ ისეთი მეკარე, რომელიც გადაგვარჩენდა და 30 მეტრიდან ბურთს არ გაუშვებდა. ამ მხრივ ისე ვერ ვიმუშავეთ, როგორც საჭირო იყო.

— გამოდის, ჯოხს გვარამაძეზე ტეხთ.

— არა, სხვებიც ცდებოდნენ, მაგრამ უპირველესი, ხომ ვთქვი, ეს იყო.

— კიდევ?

— ხალხის ხმას რომ ავყევით და მოედანზე ჯანაშია გამოვიყვანეთ. მისმა თამაშმა ტაქტიკური მონახაზი არია. მერე იძულებულნი ვიყავით, შოთა არველაძე მარცხნივ, ყაველაშვილის პოზიციაზე, ოღონდ წინწაწეულ მარცხენა ჰაბეკად გვეთამაშებინა. ჩვენ ფლანგები უნდა გადაგვეკეტა და კიკუსთვის და კონტრასთვის შეტევებში ჩართვის საშუალება არ მიგვეცა. ამას ყაველაშვილზე და ქეცბაიაზე უკეთ ვერავინ გააკეთებდა. გააკეთეს კიდეც, მაგრამ ჯანაშია რომ ჩავრთეთ თამაშში, ვთქვი, ამან ტაქტიკური გადაადგილება მოითხოვა. ჩვენ გავრისკეთ და დავისაჯეთ. მერე უკვე ქეცბაიაც შევცვალეთ. ესეც წინდა ტაქტიკური მოსაზრებით. ქემოკლიძემ ხიზანიშვილის ადგილი დაიკავა, ხიზანიშვილი კი მესამე საყრდენად გავამწესეთ. ხომ ნახეთ, არ გაამართლა. გოლებიც იმ პოზიციებიდან გავუშვით, რომლებიც დაგვისუსტდა. გაიხსენეთ, მუნტიანუმ და კონტრამ საიდან დაარტყეს.

— გგახსოვს, მაგრამ ერთი კითხვა ბუნებრივად ჩნდება. ჯანაშია თავიდანვე რატომ არ ათამაშეთ? თუნდაც იაშვილი ან არჩილ არველაძე? რატომ არ ითამაშეთ ორი გამოკვეთილი ფორვარდით?

— ჩვენი გეგმით, ხუთნი — ქეცბაია, რეხვიაშვილი, ნემსაძე, ყაველაშვილი და, რაღა თქმა უნდა, შოთა არველაძე უნდა გადასულიყვნენ იერიშზე, შესაბამისად მცველებიც ზემოთ უნდა აწეულიყვნენ. თავიდანვე მეორე თავდამსხმელის დაყენების აუცილებლობას ვერ ვხედავდით. სხვა საქმეა, დავალება ვინ როგორ შეასრულა.

— შემადგენლობა თქვენ შეარჩიეთ თუ ყიფიანმა?

— ორივემ.

— ორივემ ერთად თქვით, ეს თერთმეტი კაცი ვათამაშოთო?

— ასე შევთანხმდით.

— თეორიულად ვინ მოამზადა ფეხბურთელები?

— ყიფიანმა დაიწყო, მე გავაგრძელე.

— ის მართალია, მცველებს ძირითადი შემადგენლობისთვის ძოძუაშვილი არჩევს, დანარჩენებს ყიფიანი?

— ასეა. მცველების შერჩევაში პრეროგატივა მე მაქვს.

— მერე ისიც ხომ გასათვალისწინებელია, ესა თუ ის მცველი მის ფლანგელ ნახევარმცველს როგორ შეეწყობა? საერთოდ, მცველები და დანარჩენები ერთმანეთს გაუგებენ თუ არა?

— რა თქმა უნდა, ამას ვითვალისწინებთ და საბოლოო შემადგენლობას ასე ვირჩევთ.

— ჯამარაული რატომ არ ათამაშეთ?

— ქინქლაძეს შეუძლია ერთი ისეთი რამ გააკეთოს, თამაში მოგაგებინოს, ჰქონდა კიდეც ამის საშუალება მეორე ტაიმში, როცა 0:0 იყო, მაგრამ ნამეტანი მოინდომა. ესეც რომ არა, მწვრთნელთათვის დაუწერელი კანონია — მოგებული შემადგენლობა არ იცვლება. რა თქმა უნდა, ლიტვასთან თამაშს ვგულისხმობ.

— შოთა არველაძეს არც ლიტვაში უთამაშია, არც იტალიაში.

— ის დღესდღეობით საქართველოში პირველი ფორვარდია. მასზე უკეთესი არ გვყავს.

— ჯამარაულს არ შეუძლია, ერთი ისეთი გააკეთოს, თამაში მოიგოს?

— იცით, უთამაშებელ ქინქლაძეს ნაკრებში ადრე თამაშები მოუგია, ჯამარაულს — არა. ყოფილა ასეთი შემთხვევები.

— კი მაგრამ, ჯამარაული რომ ჩინებულ ფორმაში იყო?

— ხომ ვთქვი, ქინქლაძეს შეეძლო, მთელ თამაშში ერთი გაეკეთებინა და მოგვეგო. ჩვენ ჯამარაულს არაფერს ვერჩით. კი თქვა ნაკრებში თამაშზე უარი, მაგრამ სწორედ ახლა, ისრაელთან ამხანაგური შეხვედრისთვის ჩამოვიდეს და თავისი დაამტკიცოს. მაშინ ვიტყვით, შევცდით, რუმინეთთან რომ არ ვათამაშეთო.

— ამ წაგების მერე გადადგომაზე არ გიფიქრიათ?

— არა.

— იქნება თუ არა უკეთესი, ნაკრებს ერთი მწვრთნელი ჰყავდეს?

— უკეთესი იქნება, თუმც ისე არ გაიგოთ, თითქოს მე და ყიფიანი ერთმანეთს ხელს ვუშლიდეთ. ჩვენ ნაკრებში მუშაობა ერთად დავიწყეთ და ერთად დავამთავრებთ.

— როცა ორივენი დაინიშნეთ ნაკრების მწვრთნელებად, მაშინ რატომ არ თქვით, ჯობს ერთი იყოსო?

— იცით, მწვრთნელი თუ პატიოსანია, ნაღდად ნაკრებზე ფიქრობს, როცა ეროვნულ გუნდს აბარებენ, უარი არ უნდა თქვას. მე მსურს, საქართველოს წარმატება მოვუტანო და მზად ვარ, ყველა შეცდომისთვის პასუხი ვაგო.

— გადადგომაზე რატომ არ გიფიქრიათ?

— მაშინ უნდა გადადგე, როცა შენი მწვრთნელობის პერიოდში ნაკრებს აღმავლობა არ ეტყობა.

— ახლა ეტყობა?

— თქვენ ვერ ატყობთ? მგონია, რომ გუნდი უწინდელზე უკეთ თამაშობს.

— დიდი განსხვავება არ არის. რუმინეთთან, მაგალითად, გუნდმა ადრინდელზე ცუდად ითამაშა.

— მხოლოდ რუმინეთზე ნუ ვიტყვით. იქამდეც გვითამაშია და, ვფიქრობ, ნორმალურად.

— გერმანიაში მომზადებამ ხომ არ ავნო გუნდს?

— არა, ეს გამორიცხულია. იქ ძალიან კარგი პირობები იყო.

— ფეხბურთელები მგზავრობამ არ დაღალა?

— არა. მათ დასვენება მოასწრეს.

— მართალია, გერმანიიდან ჩამოსული ფეხბურთელები მატჩის წინა დღეს შინ იყვნენო?

— 27-ში ღამით ჩამოვედით და აეროპორტიდან პირდაპირ სასტუმროში წავედით. მე ტაქტიკაზე ვმუშაობდი და არ არის გამორიცხული, ვინმე შინ გაპარულიყო.

— არ იცით?

— ზუსტად ვერ ვეტყვით.

— იტალიასთან რა ეშველება ნაკრებს? რუმინეთთან ნათამაშევი შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვლება?

— მნიშვნელოვნად არა, მაგრამ რაღაც ცვლილებები აუცილებლად იქნება. ლეგიონერები თბილისში, იტალიასთან მატჩისთვის ვარსკვლავებად ვეღარ ჩამოვლენ. ყველას უნდა ახსოვდეს, რუმინეთთან როგორ ითამაშა. ვეცდებით, ეს წარუმატებლობა იტალიელებთან გამოვასწოროთ.

— გჯერათ ეს?

— რა თქმა უნდა.

ძოგა ინასარიძე

გურგენ ფეფელაშვილის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი ეროვნულის დატოვებას არ აპირებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეპ ბლატერის ბლიც-ვიზიტი თბილისში

თბილისში ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ჩამოვა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მოვლენაა ქართული ფეხბურთისთვის.

ბოლოს და ერთადერთხელ ამგვარი 16 წლის წინ მოხდა. მაშინ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი სწორედ თბილისში, ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიხსნა და ფიფას მაშინდელი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი გვეწვია.

თბილისში უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუპანსონიც ყოფილა, მაგრამ...

ერთი სიტყვით, საქართველოს დ/ნ ისრაელის ამხანაგური მატჩის წინა დღეს, 23 აპრილს, თბილისს ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ესტუმრება. ესტუმრება სულ ორი საათით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამის თაობაზე გუშინ შეატყობინეს. პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას თქმით, ბლატერთან შეხვედრისას რამდენიმე კონფიდენციალური საკითხი განიხილება.

ძოგა ინასარიძე

REUTERS ლონდონიდან

ლილი — ბორდო 2:2. ლილელი დაგუ ბაკარი და ბორდოელი ალენ როში

გერმანია

XXVIII ტური

კოტბუსი 0:0 ვოლფსბურგი

II ბუნდესლიგა

XXVIII ტური

ნიურნბერგი 0:1 ზაარბრიუკენი

დუისბურგი 2:1 ჰანოვერი

ინგლისი

I დივიზიონი

XXXXI ტური

ბარნლი 3:0 პრესტონი

საფრანგეთი

I დივიზიონი

XXX ტური

ლილი 2:2 ბორდო

იტალია

სერია B

XXX ტური

ტორინო 0:0 კიევო

პორტუგალია

XXVII ტური

ბრაგა 2:2 ფერეირა

ჰოლანდია

XXVII ტური

უტრეხტი 1:0 ალკმარი

ბელგია

XXVIII ტური

ლუვიე 1:1 შარლეროა

ჩეხეთი

XXIII ტური

სიგმა 1:5 სლავია

პოლონეთი

XIX ტური

ლეგია 0:0 ვიკევი

თურქეთი

XXVII ტური

რიზე 2:1 გაზიანთეფი

შვეიცარია

VI ტური

სენტ გალენი 1:0 ციურიხი

რუსეთი

IV ტური

ცსკა 0:1 ტორპედო

გორდა სიონი 0:3

ჩამწყობებს ამოანყობინეს

ფედერაცია გარიგებას არ შეურიგდა და ორივე გუნდი დასაჯა. ამ ჯერზე მსუბუქად

იმღერე რამე

მომღერალი წიკლაური ფეხბურთელ ხინჩაგაშვილს ფეხბურთის ასწავლის

ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა, რომლის წევრებიც ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩიკავა და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია არიან, გუშინ საგანგებოდ შეკრება მოაწყო.

მერაბ ჟორდანიას კაბინეტში, ზემოხსენებული სამეულის გარდა, რუსთავის „გორდას“ აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი თემურ ბუიღლიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი თემურ წიკლაური, გუნდის უფროსი იასონ ალადაშვილი, ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი გია ფირცხალავა, საშსაჯო კომიტეტის უფროსი ანატოლი მილჩენკო, ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე, მისი თანაშემწე თენგიზ კუბლაშვილი, ადმინისტრატორი პეტრე დანელია, „გორდა“ — „სიონის“ მატჩის არბიტრი მერაბ მალაღურაძე, ამ შეხვედრის ინსპექტორი ლევან ყიფიანი, ფედერაციის სატრანსფერო კომიტეტის წევრი შოთა ხინჩაგაშვილი და პრესამსახურის უფროსი მამუკა კვარაცხელია იყვნენ. მიგვიწვიეს მატჩის მხილველი ჟურნალისტებიც

თემა: მეორე ეტაპის პირველი ტურის „გორდა“ — „სიონი“, რომელიც ლევან ყიფიანის, შოთა ხინჩაგაშვილისა და კიდევ ბევრის, მათ შორის ჩვენი აზრითაც ჩაწყობილი იყო.

— მე სულაც რუსთაველი ვარ, „გორდას“ ხელმძღვანელები ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, მეორე ტაიმის დაწყებიდან 12 წუთში ავდექი და სტადიონიდან წამოვედი. ფეხბურთი არ იყო და იმიტომ — თქვა შოთა ხინჩაგაშვილმა.

— მეც წამოვიღოდი, მაგრამ ინსპექტორი ვიყავი. ისეთ თამაშზე, გინდა, არ გინდა, უნდა გეფიქრა, ჩაწყობილიაო. უამრავი საფუძველი მაქვს ამის სათქმელად — ლევან ყიფიანმა მატჩის მეორე ტაიმი თითქმის მთლიანად აღწერა.

— „სიონში“ ხელფას-პრემიები დაურიგებელია. ფულს „გორდასთან“ მატჩის წინ ველოდით, მაგრამ ამაოდ. ბიჭებმა პირველი ტაიმი მაინც ითამაშეს და შესვენებაზე ერთხელაც იკითხეს, ფული თუ მოიტანესო. რომ გაიგეს, ვერაფერს მიიღებდნენ, მეორე ტაიშში აღარ ითამაშეს. ჩაწყობილი არაფერი ყოფილა — ეს „სიონის“ მწვრთნელის თანაშემწე თენგიზ კუბლაშვილის სიტყვებია. თითქმის იგივე გვითხრა ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემაც, რომელსაც მოგვიანებით შევეხმიანეთ.

— ჩაწყობილი თამაში არ იყო — ეს ჯერ „სიონის“ მწვრთნელმა მოახსენა საგანგებო კომიტეტს, მერე კი აისონ ალადაშვილმა.

თავისი სათქმელი გუშინდელი შეკრების დამსწრე მომღერალმა, თემურ წიკლაურმაც თქვა:

— ფეხბურთელები უხელფასობით ფსიქოლოგიურად გატეხილები კი იყვნენ, მაგრამ საკითხავი ისაა, სხვები ფსიქიკურად რა მდგომარეობაში არიან. აგერ, „გალათასარაიც“ აგებდა შინ „რეალთან“ 0:2-ს, მაგრამ მაინც მოიგო.

ფეხბურთში მოტრიალე მომღერლის ასეთი „არგუმენტის“ პასუხად ცნობილი სიმღერა გაგვახსენდა — იმღერე რამე.

წიკლაურის მერე „გორდას“, როგორც თავად თქვა, აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა თემურ ბუიღლიშვილმა ილაპარაკა:

— შეგიძლიათ ჩათვალოთ და ამას ახლა პირველად ვამბობ, მე „გორდას“ პრეზიდენტი აღარ ვარ. ხვალ-ზეგ თანამდებობას ოფიციალურად დავტოვებ. ისე კი, ყველაფერი მესამე პირის ბრალია, სხვა არ უნდა ერეოდეს საქმეში. საბწუხაროდ, იმ მესამის ვინაობას დღეს ვერ გავამხელ. ეს სხვა დროისთვის იყოს.

თემურ ბუიღლიშვილმა კბილი ცოტა ჟურნალისტებსაც გაგვკრა, მაგრამ იერზე აშკარად ეტყობოდა, მატჩს ძალიან დაეფიქრებინა. ისიც თქვა, ამიერიდან ფედერაციაში ჩემს ლანდსაც ვეღარ ნახავთო.

ბოლო სიტყვა, ცხადია, პრეზიდენტისა იყო — მერაბ ჟორდანია:

— სპეციალისტები, ინსპექტორი, ჟურნალისტები ერთსა და იგივეს ამბობენ. დარწმუნებული ვარ, ჟურნალისტები არანაირად არ იყვნენ დაინტერესებულნი, ასეთი რამ დაეწერათ. მე ვამბობ და მსურს, რომ ორივე გუნდი, „გორდაც“ და „სიონიც“ მოვხსნათ ჩემპიონატიდან. სხვები ჭკუას ისწავლიან. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

შემდეგ საგანგებო კომიტეტი განმარტოვდა. ფედერაციის ჩინოსნებმა საათი-საათნახევარი ითათბირეს და ვერდიქტიც გამოაცხადეს:

1. არასპორტული საქციელისათვის, ფეარ-ფლეის პრინციპების დარღვევისათვის რუსთავის „გორდას“ ამ მატჩში ჩაეთვალოს წაგება 0:3.

2. ასევე არასპორტული საქციელისათვის, რაც გამოიხატება თამაშის დემონსტრაციულად, უბრძოლველად დათმობაში, ბოლნისის „სიონს“ ამ მატჩში 2:3-ის ნაცვლად, ჩაეთვალოს წაგება 0:3 და ჩამოაკლდეს 3 ქულა.

3. ორივე გუნდს მიეცეს პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე.

4. ორივე კლუბის პრეზიდენტებს დაეკალოთ ბოლომდე გამოიკვლიონ ზემოაღნიშნული საკითხი და სფფ-ს წარუდგინონ დასკვნა არაუგვიანეს 24 აპრილისა.

მერაბ ჟორდანიამ კი მინი-პრესკონფერენციაზე განგვიცხადა:

— მადლობა ჟურნალისტებს, ეს ამბავი რომ გაახმაურეს. მადლობა მატჩის ინსპექტორ ლევან ყიფიანს, რომელმაც არაფერი დამალა. ვისურვებდი, რომ ჩემპიონატის ყველა მატჩს ყიფიანისნაირი ინსპექტორები ემსახურებოდნენ. „გორდასა“ და „სიონის“ დასჯა მაგალითი იყოს დანარჩენი გუნდებისთვის. ძალიან კი მსურდა, ორივე გუნდი მოგვეხსნა ჩემპიონატიდან, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტეთ, ასე დაგვესაჯა. დღეის შემდეგ, დარწმუნებულნი იყავით, არც ერთ ასეთ შემთხვევას არ დავტოვებთ რეაგირების გარეშე. ჩვენთვის მეორეხარისხოვანია, გუნდმა თამაში უხელფასობისა თუ სხვა რამე მიზეზის გამო დათმო. ეს არასპორტული საქციელია.

მერაბ ჟორდანიას გამოცხადებულმა განაჩენმა „სიონის“ წარმომადგენლები აღაშფოთა. „ყველაფერი „იმ მესამის“ გამო, არა? ყოჩაღ თქვენ!“ — თქვა თენგიზ კუბლაშვილმა, რომელსაც მერაბ ჟორდანიამ საშეჯიბრო კომიტეტისკენ მიუთითა, თან დასძინა — გადაწყვეტილება საბოლოოა.

ჩვენ კი ვიტყვით — „გორდაც“ და „სიონიც“ უფრო მკაცრად უნდა დასაჯათ.

კობა ინასარიძე

გუშინ დილინგაშვილის ფოტოები

მსაჯული და განსასჯელები: მერაბ ჟორდანია, სპარტაკ არჩვაძე, თენგიზ კუბლაშვილი, იასონ ალადაშვილი, პეტრე დანელია

გიო ანვლედიანის

სვეტი

შეთანხმება

სამოცდაათიანი წლები იწურებოდა, იტალიურ ფეხბურთში რომ სკანდალი ატყდა.

ადრეც უნდა ატეხილიყო, მაგრამ როცა ატყდა, ატყდა და მერე ევროპაში ამის შესახებ ძალიან საინტერესო წიგნები დაიწერა.

ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობის გამო, სერია B-ში დაქვეითდა „მილანი“, თამაში აეკრძალა პაოლო როსის, იტალიური ფეხბურთის სცენიდან გაქრა საქმოსანი იტალო ალოდი... ბევრი გადარჩა, ბევრმა თავი ვერ დაიძვრინა, იტალიური ფეხბურთი კი გადარჩა.

დაღუპვისა არც მანამდე ეტყობოდა რამე და არც შემდეგ. სკანდალიდან სულ მალე იტალიამ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, კიდევ ცოტა ხანში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, „იუვენტუსიც“ ჯიუტად გადიოდა ევროთასების ფინალებში და საერთოდ, ამ ამბავს გადამწყვეტი გავლენა არ მოუხდენია იტალიურ ფეხბურთზე. ეს იყო, რომ იტალიაში ტოტალიზატორი კანონგარეშედ გამოცხადდა და თუკი ამ სკანდალს ჰქონდა ღრმა შინაური მიზეზი, სწორედ ფსონების გამო.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ თამაშის ჩაწყობის მთავარი აზრი იქ შავი ხალხის მიერ ფულის მოგება-წაგების ამბავზე უფრო ეკიდა, ვიდრე იმაზე, რომ ვთქვათ, „მილანს“ მაინცდამაინც მესამე ადგილი უნდოდა ცხრილში, „იუვეს“ კი ჩემპიონობა.

და რა არის თამაშის ჩაწყობის აზრი საქართველოს ჩემპიონატში?

აქ თამაშის ჩაწყობას გუნდისთვის თუ ეჭნება აზრი, თორემ ფსონი რა მოსატანია. ფსონს ვინ გავა ჩვენს თამაშებზე, ვინ ენდობა? გუნდს კი რა უნდა? ადგილი იქ, სადაც არის. ანუ მიჩვეული ადგილი. „გორდა“ — „სიონის“ თამაშის გამო დიდი ამბავია ატეხილი. ეს სრულიად გასაგებია. მისასალმებელია, რომ იწყება ბრძოლა (თუ იწყება) ჩემპიონატის სიწმინდისთვის და იმის წინააღმდეგ, რომ მოედანს გარეთ წყდებოდეს მოედნის ამბები და მოიშალოს მიცემა-მოცემის, ქულათა სესხების სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში იყო საქართველოს ჩემპიონატში და, რის საქართველო, უმაღლეს ლიგაშიც.

ეს ყველაფერი იყო, იყო...

და სამწუხაროდ, არსად წასულა, თორემ ახლა რუსთავის თამაშს რომ მივადგეთ, სასაცილოც იქნება.

აქ ისიც არ არის მთავარი, იღებენ თუ არა გუნდები ქრთამს, აქ ის არის მთავარი, რომ წლეულს მე დაგითმე, გაისად შენ დაგითმობს. ეს იცოდა ყოველმა გულშემატკივარმა ძველ დროში. ასეთი იყო სისტემა ცხოვრებისა და ფეხბურთისაც.

თორემ, იტალიაში რა და როგორ, საინტერესოც არაა. იქ სისტემა სხვა იყო და იმ სისტემას არაფერი დაკლებია, უბრალოდ, უსიამოვნო ამბავი ჩამოშორდა სასამართლოს ხელით.

ჩვენთან კი... მაგალითად, თბილისის და მოსკოვის დინამოელები ბარე სამი სეზონი ᲔᲚ-ს თამაშობდნენ და მაშინ ყველა ამბობდა, შეთანხმებაა-ო. ქრთამი კი არა, შეთანხმება. შეთანხმებას კი ვერ დასჯი, არაპროფესიონალ ფეხბურთელს სულაც არ ევალება მოედანზე თავის მოკვლა. კანონი კი არ ირღვევა, მორალი.

ეს კი ჩვენთვის უცხო ამბავი სულაც არ არის.

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
12
2 ტური
ანდენსი

I–VI ადგილები

სინათლე ავი ჭალაა

მცხეთა. არმაზი. 8 აპრილი. 16 საათი

ვიტ ჯორჯია — ტორპედო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი; მ. მალაღურაძე (ყველა თბილისი); სფფშ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: საჯაია (ვიტ ჯორჯია); თოდუა (ტორპედო)

როდის იმარჯვებს გასვლით მატჩში ქუთაისური „ტორპედო“, წააგებს თუ არა ზედიზედ მეორედ „ვიტ ჯორჯია“? კითხვა სხვაც ბევრია და ხვალ მცხეთაში, სადაც ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი კიდევ ერთხელ შეიყრებიან, ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი.

ჩვენ ფრეს ვიწინასწარმეტყველებთ, რადგანაც ბოლო დროს ხვალინდელი მეტოქეები სულ მშვიდობით სცილდებიან ერთმანეთს. მათ დაპირისპირებაში ერთმანეთს ენაცვლება 1:1 და 0:0. თუ მცხეთაში 1:1 დამთავრდა, მაშინ ქუთაისში პირიქით იქნება.

„ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედოს“ ბოლო მატჩი 0:0 დასრულდა, წესისა და რიგის მიხედვით ხვალ 1:1-ის ჯერია. იყოს რა, გატანილ გოლებს მაინც ვიხილავთ.

დანაკლისი სტუმრისა მეტია. რიონისპირელები მოისაკლისებენ ტრავმაგამიზებულ მალხაზ ასათიანს, დისკვალიფიცირებულ სევასტი თოდუასა და მუშა ნახევარმცველ ვალტერ გუჩუას, რომელსაც პირველ ეტაპზე მიღებული ტრავმის შემდეგ, ეტყობა, ძალები ბოლომდე ვეღარ აღუდგენია. ყბაყურა შეყრია მიხელ აშვეთიას.

ვიტელები დისკვალიფიცირებულ ედიკ საჯაიასა და ფეხმტკივან ალეკო გოგობერიშვილს ვერ დაიხმარენ. ეს არის და ეს. სხვა ყველა მწყობრში ჰყავთ.

სავარაუდო შემადგენლობები
ვიტ ჯორჯია: ტურაძე, ინნკირველი, ლ. ქანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ნოზაძე, დიღმელაშვილი, ვიფიანი, ვ. გოჩაშვილი, გოცირიძე, ლ. მელქაძე
ტორპედო: ზოიძე, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, აბრამიძე, მახვილაძე, დიდავა, ჯინჭარაძე, ჩხეტიანი, კვეტენაძე, ჯანაშია, იონანიძე

თბილისი. სინათლე. 8 აპრილი. 16 საათი

მერანი — დინამო

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი); სფფშ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე
დისკვალიფიცირებულნი: ზირაქიშვილი, მანწკავა (დინამო)

„მერანის“ მეტოქეობა ყველას უხარია. ფიქრობენ, იოლად დაგვამარცხებენ, მაგრამ ყველას ყელში გავეჩხირებით“ — ავჭალელთა კლუბის თავკაცების მიერ ნათქვამი ეს სიტყვები ჯერჯერობით მართლდება.

„მერანი“ უკვე გაეჩხირა ყელში „ლოკომოტივს“, „დინამომაც“ საკუთარ თავზე გამოსცადა „სინათლის“ „ჯადოსნური“ ძალა. ორბურთიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაანიავა ათგზის ჩემპიონმა და მოგებას ვინ ჩივის, კინალამ ცარიელ-ტარიელზე დარჩა. ეს მარტში მოხდა.

ხვალისთვის „მერანს“ არ ჰყავს დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული (რა თქმა უნდა, დევაძისა და ფოცხვერიას თუ არ ჩავთვლით). „დინამოს“ კი საყრდენი შუახაელი მანწკავა და მეგოლე ზირაქიშვილი დააკლდება. მათ ზედმეტი ყვითელი ბარათები დაგროვებიათ.

სავარაუდო შემადგენლობები
მერანი: ნაფცალია, გოგიტაძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ქინქარაული, მუხინი, ზ. კვეკვესკირი, დევიძე, ბოლქვაძე, დ. გოდერძიშვილი, მინაშვილი
დინამო: გრიშიკაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ა. სახვაძე, ბურდული, მაზიაშვილი, იაგორაშვილი, მიკუჩაძე, ი. შენგელია, ბაციაური

ფოთი. ფაზისი. 8 აპრილი. 16 საათი

კოლხეთი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფშ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ძნელი მატჩი ელით გივი ნოდიას ბიჭებს. ძალიანაც მოყოჩაღდა „კოლხეთი“, თანაც სოსო ფილია .თამამად მიმართავს ექსპერიმენტებს და შემადგენლობასაც უცნაურს, ძნელად გამოსაცნობს არჩევს.

რკინიგზელებმა მოგებაზე უნდა ითამაშონ, თორემ „ტორპედო“ არც ისე შორსაა და.. ცუდ დროს დაემტვრა ნოდიას რუსია. მამუკა ჩინებულ ფორმაში ფეო. მისი არყოფნით გუნდის შემტევი პოტენციალი ერთობ გაუფერულდა.

ფრე ხელს არც ერთს უნდა აძლევდეს, უფრო მეტად „ლოკომოტივს“. ჰოდა, იქნება თამაში „ფაზისზე“.

სავარაუდო შემადგენლობები
კოლხეთი: ქვაჩახია, გორგოზია, შალამბერიძე, ქობულაძე, ტორჩინავა, ფანშულიძე, ღაღანიძე, კვირკველია, ხუჭუა, ე. გვასალია, მუმლაძე
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, შელია, სალუქვაძე, კვარაცხელია, ქიქვაიშვილი, გოგიჩაიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე, კიდარაშვილი

ბოლო ორი წელია, რევაზ ქემოკლიძის (მარცხნივ) „ტორპედო“ და გიორგი ჭანკოტაძის „ვიტ ჯორჯია“ ფრით შორდებიან ერთმანეთს

ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

I–VI ადგილები						
ლოკომოტივი	1	0	1	0	0:0	29
დინამო	1	0	1	0	1:1	25
ტორპედო	1	0	1	0	1:1	25
კოლხეთი	1	1	0	0	2:1	19
ვიტ ჯორჯია	1	0	0	1	1:2	19
მერანი	1	0	1	0	0:0	17

VII–XII ადგილები						
გათუმი	1	0	1	0	0:0	15
თსუ	1	1	0	0	2:0	13
დილა	1	0	1	0	0:0	10
სიონი	1	0	0	1	0:3	10
გორდა	1	0	0	1	0:3	9
იბერია	1	0	0	1	0:2	2

VII–XII ადგილები

თბილისი. შუადღე. 7 აპრილი. 16 საათი

იბერია — სიონი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (ტულარიფში); ა. ორდინიძე (ონი); სფფშ-ის ინსპექტორი: ა. მილერკო

მცხეთა. არმაზი. 7 აპრილი. 16 საათი

თსუ — დილა

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. ტაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ბ. ფოფრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფშ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

ძველთბილისი. ცენტრალური. 7 აპრილი. 16 საათი

გათუმი — გორდა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯავრიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ზ. ანაშვილი (ბორი); სფფშ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებულნი: ა. მუჯირი, ბაბიძე, ქანტარია (ბათუმი)

ძია ალიოდის გუნდში კაცები
თამაშობენ — გვეუბნება
მერაბ რატიშვილი.
სიცოცხლის ფასად რომ
დაგვიჯდეს, მსოფლიოს
თასზე მაინც გავალთ — გვარწმუნებს
ლეონსიო, ანუ ქართული რაგბის
ვარსკვლავი ლევან ცაბაძე.
ეროვნულზე კი ვირტუალური
ჯიგრისწვა გაიმართა — ასე
აფასებს ფეხბურთელთა ნაკრების
თამაშს სოლომონ გულისაშვილი.
ბევრიც სხვა და მაინდ
ოუენის ალაკატი

და სიახლე — ფასი
მხოლოდ 1 ლარი

მსაჯნი წავლენ და წამოვლენ...

ივნისამდე ჯერაც შორია, მაგრამ ფიფამ, ჩვეულებისამებრ, თადარიგი დაიჭირა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმ ოთხი მსაჯის ვინაობა ამცნო, რომლებიც 2 ივნისს თბილისში საქართველოსა და იტალიის ეროვნული ნაკრებების მატჩს მოემსახურებიან.

ამ დღეს ევროპაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებია და ყველაზე მეტი ჯაფა ესპანელ მსაჯებს დაადგებათ. პირინეელები სამ ასეთ შეხვედრას მოემსახურებიან. მათ შორის ჩვენი ნაკრებისა და იტალიელების თამაშსაც. თბილისში ედუარდ იტურალდე გონსალესს ასისტენტობას რაულ ალონსო გერერო და სალვადორ რივერა გაუწევენ. სათადარიგო არბიტრის ფუნქციებს კი სანტიაგო როდრიგესი შეასრულებს.

ედუარდ იტურალდე გონსალესი 1 ივნისს მეორედ ეწვევა თბილისს. სწორედ იგი უძღვებოდა შარშანწინ „ეროვნულზე“ „ლოკომოტივისა“ და ჩრდილოირლანდიური „ლინფილდის“ შეხვედრას. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის ის მატჩი აგვისტოს ხვატში ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. გამდის, გონსალესი იღბლიანი არბიტრი ყოფილა ჩვენთვის. მაგრამ იმის დავიწყებაც არ შეიძლება, რომ ერთმა ასეთმა ფეხბედნიერმა, ნორვეგიელმა რუნე პედერსენმა, „დინამოს“ მიერ „ბილბაოს“ ძლევის მონაწილემ, 28 მარტს საქართველოს ნაკრების მარცხი გაფორმა რუმინელებთან. უკეთესს, ალბათ, 2 ივნისს არც გონსალესისგან უნდა ველოდოთ...

ერთი სიტყვით, მსაჯნი წავლენ და წამოვლენ...

პაატა კვანტალიანი

მკვლელები ლივერპულიდან

UEFA CUP

უეფას თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩი

ჩეშია! ემილ ჰესკიმ კარლეს პუიოლის (№24) ბურთი არ დაანება

REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა 0:0 ლივერპული

ბარსელონა, «კამპ ნოუ»

90 000 მაყურებელი

F.C.B. — **LIVERPOOL FOOTBALL CLUB**

F.C.B.: რეინა, გაბრი, პუიოლი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, კოკუ, ლუის ენრიკე (ხავი 72), რივალდო, ოფერმარსი (ზენდენი 72), კლუივერტი

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

ლივერპული: ვესტერფელდი, ბაბელი, ეჩოსი, ჰიბბერტ, კარიგერი, ჯერარდი, ჰამანი, მერფი (შიცერი 60), ბერგერი (მაკალისტერი 83), ჰეკი, ოუენი (ფაულერი 73)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გამრთობლები: ფაულერი, ზენდენი; **მსაჯი:** ჰელმუტ კრუგი (გერმანია)

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა, ყოველ შემთხვევაში, ლივერპულელთა ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე მაინც, 5:5-ს წარმოვიდგენ და 0:0-ს ვერაო. არადა, ტაბლოს მომსახურე ოპერატორს მთელი 90 წუთი საქმე არ ჰქონია, ალბათ ივდა და თვლემდა, ისევე როგორც ორივე გუნდის მეკარეხოსე მანუელ რეინას ერთხელაც არ დასჭირვებია ბურთის მოგერიება — სტივენ ჯერარდისა და რობი ფაულერის ორიოდე დარტყმა მის კარს ასცდა. მოპირდაპირე კარში მდგომი სანდერ ვესტერფილდი კი მხოლოდ ერთხელ შეაწუხა პატრიკ კლუივერტმა. ჰოლანდიელ მეკარეს ფილიპ კოკუს დარტყმულის აღებაც მოუხდა, მაგრამ ეს სათვალავში ჩასაგდებიც არაა.

თავისთავად, ასეთი უხიფათო თამაშები არცთუ იშვიათობაა, მაგრამ როცა „ბარსელონასა“ და „ლივერპულზე“, შემტევი თამაშის მოტრფიალე გუნდებზე ვლაპარაკობთ, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ჟერარ ულიეს გაოცება უსაფუძვლოა, რადგან სწორედ მისმა ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა მიიყვანა მატჩი ასეთ შედეგამდე. „მაქსიმალური სიფრთხილე“ — ამ დევიზით გავიდა „ლივერპული“ „კამპ ნოუს“ უკიდეგანო მინდორზე და თავისას მიაღწია. ინგლისელებმა მასპინძელთა შეტევების სულისჩამდგმელი პეპ გვარდიოლა ისე კარგად შებოჭეს, რომ კატალონიელთა იერიშები ჩანასახშივე გააუვნებლეს.

ულიეს არჩეული ტაქტიკიდან გამომდინარე, „ბარსელონა“ გვარიან ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა. „ლივერპულს“ წინ მხოლოდ მაიკლ ოუენი გაემწესებინა, რომელსაც, ფაქტობრივად, პასის მიმწოდებელი არავინ ჰყავდა. ამიტომაც „ბარსა“ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ნაკლებად ფიქრობდა და წინ მიიწევდა — რაც გამოუვიდა, უკვე ვთქვით.

მატჩის შემდეგ ლორენს სერა ფერერი იმედგაცრუებული ჩანდა და მეტოქე ფეხბურთის მოკვლევაში დაადანაშაულა. „ფეხბურთს ორი გუნდი თამაშობს, დღეს კი ერთ გუნდს თამაში არ სურდა, არ უტევდა — თქვა კატალონიელთა თავკაცმა — პრინციპში, მოგება შეგვეძლო. ამისთვის ფლანგები უფრო ეფექტურად უნდა გამოგვეყენებინა, მაგრამ სივრცე შეზღუდული გვქონდა“

აღვნიშნოთ, რომ სივრცის უქონლობაზე მოლაპარაკე მწვრთნელის გუნდს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი სტადიონი აქვს, ხოლო მისი მეტოქე ინგლისურ, ორღობესავით ვიწრო მოედნებზე თამაშსაა ჩვეული.

„ბარსელონასთვის“ სივრცე რომ მიგვეცა, ოთხ გოლს მაინც გაგვიტანდა — ეს ჟერარ ულიეს სიტყვებია — ჩვენ ესპანელებს ამოცანა დავუსვით, რომლის გადაჭრაც მათი პრობლემა იყო და ვერ შეძლეს“.

რა იქნება ორი კვირის შემდეგ? ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი, განვაცხადოთ, რომ „ენფილდზე“ 0:0 მაინც არ იქნება. ორივე მწვრთნელი ამას ამტკიცებს.

„შობლიურ სტადიონზე ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ — თქვა ულიემ — ნუ დაივიწყებთ, რომ ამ სეზონში უკვე 96 გოლი გავიტანეთ და გარწმუნებთ, გოლის არგაშვება ჩვენი ერთადერთი მიზანი აღარ იქნება“.

სერა ფერერმა კი თქვა: „საპასუხო მატჩში მეტოქე იძულებული იქნება, შეგვიტიოს, რაც მის დაცვას უფრო იოლად გასავლელს გახდის. ნუ გაგიკვირდებაც, თუ ლივერპულში ბევრ გოლს გავიტანთ“.

ბოლოს დავუმატოთ, რომ „ბარსელონას“ საპასუხო მატჩის წინ ერთბურთიანი უპირატესობის მოპოვება მაინც შეეძლო — წამატებულ დროში რივალდომ სანდერ ვესტერფელდს ბურთი თავზე გადაუგდო და გაიტანა, მაგრამ წამით ადრე თანამსაჯმა პატრიკ კლუივერტი ოფსაიდში შენიშნა.

რაც შეეხება ხულიგნობით განთქმულ ლივერპულელ ფანებს, ისინი ძალიან წესიერად იქცეოდნენ და თამაშის წინ ბარსელონელ პოლიციელებს შვიდ კაცზე მეტი არ დაუპატიმრებიათ.

გიორგი დარგაანია

UEFA CUP

უეფას თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩი

ერთ პატარა ვიტორიაში

ექვსი გოლი, ოთხი პენალტი და განადგურებული გერმანელები

ალავესელი კოზმინ კონტრა და კაიზერსლაუტერნელი მიროსლავ კლოზე

REUTERS ვიტორიიდან

ალავესი 5:1 კაიზერსლაუტერნი

ვიტორია, «მენდისოროსა»

17 000 მაყურებელი

DEPORTIVO ALAVES — **1 FK**

1:0, 2:0 კონტრა (20ბ, 31ბ), 3:0 კრუიფი (42), 4:0 ივან ალონსო (58ბ), 4:1 ბ. კოხი (68ბ), 5:1 მაგნო (82)

ალავესი: ერერა, კონტრა, ეგერი, ტელიესი, ჯელი, ტომიჩი, ბაბლო (ასტუდილო 60), ფერეიროა, ბიონ ბეგონია, კრუიფი (კარმონა 72), ივან ალონსო (მაგნო 78)

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ბასლერი, რამში, ბ. კოხი, რატინო, ბეტერსონი (დომინგუზი 46), ხრისტოვი, ბერამეისი, შტრასერი, კლოზე, ლოკვენი (მარშალი 69)

მწვრთნელი: ანდრეას ბრეგე

გამრთობლები: ტელიესი, რატინო, კონტრა, ბასლერი; **მსაჯი:** რუნე პედერსენი (ნორვეგია)

ხუთი ესპანური კლუბიდან „ალავესი“ ერთადერთი გამოდგა, ვინც ამ კვირაში ევროთასებზე გამარჯვება მოახერხა. თავის ოთხმოცწლიან ისტორიაში ეს ვიტორიელთა უმნიშვნელოვანესი მოგება გახლდათ. ახლა უკვე აღარავის ახსოვს, რომ სამი წლის წინათ ესპანური პრიმერადივიზიონის ახალბედა ძლივს გადარჩა ლიგიდან გავარდნას. პირველი წრის მერე ბასკური გუნდი ცხრილის ფსკერზე დალექილიყო და რომ არა რამდენიმე იღბლიანი შენაძენი, აუცილებლად დაქვეითდებოდა. მერე კლუბის საქმეები წინ წავიდა. შარშან კინაღამ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს, მაგრამ ბოლოს დათმეს და უეფას თასის ადგილს დასჯერდნენ. დასჯერდნენ და აჰა, ფინალამდე ერთი ნაბიჯიღა უკლიათ. არადა, ევროთასებზე პირველად თამაშობენ...

„როცა გუნდი ნახევარფინალში გადის, თანაც გათამაშებიდან „ინტერს“ აგდებს, სუსტი ვერაფრით იქნება, „ალავესი“ ძლიერი გუნდია“ — ამბობდა „ლაუტერნის“ მწვრთნელი ანდრეას ბრეგე. თითქოს გული უგრძნობდაო, გერმანული გუნდის ასეთი შერცხვენა კარგა ხანია აღარ გვინახავს.

„1:5 ჩვენთვის კატასტროფული შედეგია. მთელი კვირის მანძილზე ვსწავლობდით „ალავესის“ თამაშების ვიდეოფირებს, მაგრამ მინდორზე ვერაფერი დავუპირისპირეთ. პენალტების შესახებ კი აბა, რა გითხრათ“ — ესეც ბრეგეს სიტყვებია, ოღონდ სტუმართათვის საშინელების საათახევრის შემდეგ.

პენალტებიო და, გასულ კვირაში თბილისმოვლილმა ნორვეგიელმა არბიტრმა რუნე პედერსენმა ამ მატჩში ოთხი(!) თერთმეტრიანი დანიშნა — სამი სტუმართა, ერთიც მასპინძელთა კარში. მათგან პირველი მართლაც საეჭვო იყო...

მასპინძლები გერმანელებს თავიდანვე ეკვეთნენ და უკვე მე-4 წუთზე ივან ალონსოს ანგარიშის გახსნის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ურუგვაელს ტექნიკამ უმტყუნა და ისეთი ვერ გაიტანა, აცილება რომ უფრო ძნელი იყო... მალევე ტელიესის შორიდან დარტყმულმა ცივი ოფლი დაასხა ბრეგეს, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მერე პენალტების ჯერიც დადგა. მე-20 წუთზე სტუმართა საჯარიმოში რაღაც გაუგებარი რამ მოხდა, თითქოს ჩვეულებრივ შეტევას ჰგავდა, მაგრამ მსაჯმა ტომიჩთან ბრძოლისას წესი დარღვიეთო და, თერთმეტმეტრიანისკენ მიუნიშნა, რითაც ერთობ გააკვირვა სტუმარ-მასპინძელი. თბილისში მეორე გოლის გამტანმა რუმინელმა კოზმინ კონტრამ უშეცდომოდ დაარტყა. თერთმეტ წუთში კიდევ პენალტი და ისევ კონტრას გოლი.

შესვენებამდე სამი წუთით ადრე ტომიჩის საჯარიმოდან ჩაწოდებულს პირველი ხორდი კრუიფი გამოეხმაურა და მეკარე კოხს მესამედ გამოატანინა ბურთი ბადიდან.

მერე, მეორე ტაიმის დასაწყისში გერმანელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ბასლერმა საკუთარ საჯარიმოში კრუიფი წააქცია და პედერსენმა მესამე პენალტი დანიშნა. კონტრამ ამჯერად ვეღარ გარისკა, თუმცა ალონსოს დარტყმაც ზუსტი გამოდგა.

დარჩენილ დროში მოწინააღმდეგეებმა თითო გოლიც გაცვალეს. ლაუტერნელმა ჰარი კოხმა ასევე პენალტით ერთი გაქვითა, ხოლო დამთავრებამდე რვა წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა მაგნომ დასვა წერტილი.

„ახლა ფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს, თუმცა 90 წუთი კიდევ უნდა ვითამაშოთ. ვეცდებით, იქაც ღირსეულად წარმოვჩინდეთ, მერე კი გამარჯვებასაც ვიზეიმებთ — თქვა ვიტორიელთა მწვრთნელმა ხოსე მანუელ ესნალ პარდომ — გულშემატკივრების მხურვალე მხარდაჭერას მთელი სეზონის მანძილზე ვგრძნობდით. ახლაც ასე იყო, როცა გოლი გავუშვით სწორედ მათი ქომაგობა დაგვეხმარა, დავლაგდით და აკი მეხუთეც შევაგდეთ. მადლობა მათ“.

ცნობისთვის: ვიტორიას „მენდისოროსას“ სტადიონზე სულ 17 ათასი გულშემატკივარი შეგროვილიყო. რატომ? მეტი არ ეტევა და იმიტომ.

ასეა, პატარაა ვიტორია, მაგრამ რაშხელა გული აქვს?..

„გერმანული გუნდები შინ ყოველთვის ძლიერად თამაშობენ. საპასუხო მატჩი ისე უნდა დავიწყოთ, თითქოს პირველში 0:0 იყო.

სხვა მხრივ კი, ცხადია, გამარჯვებით უსაზღვროდ გავიხარეთ. ასეა, ჩვენ ყველასთვის უხერხული მოწინააღმდეგე ვართ. მაგრამ სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს და მჯერა, უფრო მაღალ შედეგებს მივაღწევთ“ — ეს კოზმინ კონტრას ნაუბარი გახლავთ.

„ასეთი მოგება მართლაც დიდი ბედნიერებაა, თუმცა საჩუქრად არაფერი მიგვიღია. შედეგი თამაშით დავიმსახურეთ. ვგრძნობთ, რომ რაღაც დიდი წარმატების ახლოს ვტრიალებთ, ისეთის, სეზონის წინ ოცნებასაც რომ ვერ გავბედავდით“ — ასეთია ხორდი კრუიფის აზრი.

გერმანელები კი, შინ თავსლაფდასხმულები გაბრუნდნენ. „ლაუტერნის“ მენეჯერი რაინჰარდ შტუმპფი, ცხადია, გაწბილებული იყო: როგორც კი სერიოზული ამოცანის გადაჭრა გვიხდება, მაშინვე შიში გვეუფლებაო — უთხრა შტუმპფმა ჟურნალისტებს.

მართლაცდა, „ლაუტერნისთვის“ ეს უბრალო თამაში არ გახლდათ. მათი ფრანგი ნახევარმცველი იური ჯორკაეფი ამბობდა კიდეც, ჩვენს კლუბს ბოლო 20 წელიწადს ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი აღარ ჰქონიაო...

დაიჩაგრნენ ბრეგე და მისი ბიჭები. ბოლო ხუთ დღეში ორი თამაში ჩაატარეს და 9 გოლი გაუშვეს — 1:4 „დორტმუნდთან“, 1:5 „ალავესთან“...

სოლომონ გულისაფვილი

იყიდება



ორკარიანი ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო“ ბენზინზე 1986 წლის გამოშვება.

ფასი 3 500

ტელეფონი: 8 (99) 55 16 75

წახდენილი ოცნება

მილანმა თერიმს შარი შეუთვალა

ადრიანო გალიანი: „მილანს“ მალდინი მიხედავს

„მართალია, ჯერ მხოლოდ ორი თამაში მოვიგეთ, მაგრამ პრეზიდენტიდან დაწყებული „მილანში“ ყველა კმაყოფილია“ — აი, ასე შეაფასა გუშინ იტალიური სუპერკლუბის ოფიციალურ საინტერნეტო ვებ-გვერდზე ჩეზარე მალდინისა და მაურო ტასოტის ნაღვაწი „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

„მას შემდეგ, რაც ალბერტო ძაკერონი გავათავისუფლეთ და „მილანი“ ჩეზარე მალდინისა და მაურო ტასოტის ჩავბარეთ. გუნდმა კარგა ხნის მივიწყებული მოგების გემო გაიხსენა. გახსოვთ, ალბათ, ჩეზარეს და მაუროს სეზონის ბოლომდე გუნდის გაწვრთნაზე შევუთანხმდით. ახლა კი, არაა გამორიცხული, თუ „მილანმა“ დასახული მიზანი შეასრულა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილი დაიკავა, ახალი სეზონიდან გუნდი ისევ მათ გაწვრთნან“ — დასძინა გალიანიმ.

ეს კი რას ნიშნავს? რას და თურქი ფათიჰ თერიმის ოცნებას ასრულება არ უწერია. სწორედ „მილანზე“ ფიქრით დატოვა „ფიორენტინა“ „დიდმა თურქმა“. არადა, ვიტორიო ჩეკი გორი, „ფიორენტინას“ პრეზიდენტი, მის გაშვებას არ აპირებდა, ახალი კონტრაქტიც შესთავაზა და დიდ ფულსაც შეჰპირდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. სწორედ ასე დაემართა თერიმს. დაიჟინა თურქმა, არ მინდა ფლორენციაში დარჩენა, მირჩევნია, უფრო სახელიან და ტიტულიან კლუბში ვიმუშაოო და...

„მოხარული ვიქნები, თუ „მილანს“ კვლავაც მალდინი-ტასოტის დუეტი გაწვრთნის“ — გალიანის ეს სიტყვები, ცხადია, ფათიჰ თერიმს გულს არ დაუამებდა, თუმცა ჩვენთვის ისიც უცნობია, რას ფიქრობს თავად თერიმი. იგი ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს, არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. არაფერი უთქვამს თავად თურქის პირად აგენტსაც.

ერთი სიტყვით, ფათიჰ თერიმს ალბათ უჯობდა, „ფიორენტინაში“ დარჩენილიყო, მაგრამ ვერ დაიჭირა „მილანური კურდღელი“. ჯერჯერობით ასე ჩანს და სამომავლოდ რა იქნება, ვინ იცის. მალდინი-ტასოტის დუეტის საქმიანობით „მილანის“ ტიფოზებიც კმაყოფილნი არიან. როგორც იქნა, გაიხარეს საყვარელი გუნდის მოგებით, თუმც აღიარებენ, ჯობს, ეიფორიაში არ ჩავვარდეთო და მართლებიც არიან. მათივე სიტყვებით, ახალმა მწვრთნელებმა დიდი „საქმე“ გააკეთეს, როცა ძირითად შემადგენლობას „არაფრის მაქნისი“ ფეხბურთელები მოაცილეს: დიდა, როკე ჟუნიორი, ბა, პაბლო გარსია.

„ძაკერონი შემადგენლობას ყოველი მატჩის წინ ცვლიდა, ზედიზედ ორჯერ ერთი და იმავე შემადგენლობით არც უთამაშებია გუნდი. მალდინი-ტასოტიმ კი ნაცად ხერხს მიმართეს და რაც მოვიგეთ ამით, „ბარისთან“ და „ლაციოსთან“ მატჩებშიც დამტკიცდა“ — აღტაცებულნი არიან ტიფოზები.

გიორგი ვაშაკიძე

გიგზმა მანჩესტერში ჯვარი დაინერა

რაიან გიგზი

რაიან გიგზმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „ოლდ ტრეფორდზე“ იგი 2006 წლამდე დარჩება. თუ უელსელმა ეს შეთანხმება არ დაარღვია, მაშინ „იუნაიტედში“ თხუთმეტწლიან კარიერას მიითვლის.

გიგზს „იუნაიტედში“ 400-მდე შეხვედრა აქვს ჩატარებული და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ვეტერან დენის ირვინს ჩამორჩება.

„ახალმა კონტრაქტმა ძალიან გამახარა — განაცხადა უელსელმა — „ოლდ ტრეფორდზე“ ფანტასტიკური დრო გავატარე, დიდი იმედი მაქვს, რომ დარჩენილ წლებში უფრო მეტ ჯილდოს მოვიპოვებ“.

გიგზი 17 წლის იყო, როცა „იუნაიტედში“ პირველად ითამაშა. იგი მანჩესტერულ დერბიში „სიტის“ წინააღმდეგ გამოჩნდა მინდორზე და გამარჯვების გოლიც სწორედ მან გაიტანა, მას შემდეგ კი „მანჩესტერის“ მაისურით დაახლოებით 90-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

„ორი წლის წინ უელსელმა „მანჩესტერთან“ ერთად ჩემპიონთა თასი მოიგო. მერე კი საკონტინენტთაშორისო თასზე „პალმეირასის“ წინააღმდეგ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. რაიან გიგზმა „იუნაიტედის“ ბოლოდროინდელ მიღწევებში ლომის წილი დაიდო. ეს დაფასებას იმსახურებს. სასიხარულოა, რომ რაიანი ჩვენთან მჭიდრო ხნით დარჩება“ — განაცხადა „იუნაიტედის“ შეფმა პიტერ კენიონმა.

ნიკა შუბლაძე

რესტორანი ზღვიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ენგელბერტ პონტელავა მსოფლიოს ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. ახლა, ნურავინ იფიქრებს, რომ სადაც საჭირო იყო და რამდენიც საჭირო იყო, ჩაიტანა და იმიტომ. შეიძლება არც იყოს ასე — ვერავინ დაამტკიცებს. ისიც გავიგეთ, თითქოს ვისაც საჭიროა, დაარეკინაო. ფიფაში ალექს ფერგიუსონის დანიშვნას აპირებდნენო, მაგრამ ბოლოწამს ზემოდან დაურეკავთ და...

მოკლედ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ფაქტი: ენგელბერტ პონტელავა მსოფლიო ნაკრების მწვრთნელია.

და ატყდა, მაგრამ რა ატყდა. საქმე ის გახლავთ, რომ ფეხბურთელი, რომელიც მსოფლიო ნაკრებში ითამაშებს, კარგად იყიდება, ანუ „ლაციო“ ყიდულობს. ესე იგი, კარგად ყიდულობს. ესე იგი, მერე რა, რომ ძირითადში მაინც ნელვეული ჰყავს. საერთოდ, ფეხბურთს ხომ თერთმეტი კაცი თამაშობს და ვინაიდან თამაშიდან თამაშამდე ამ თერთმეტ კაცს არც ერთი მწვრთნელი არ ცვლის, მოედანზე სულ ერთი და იგივე ხალხია ხოლმე. ჰა, ჰა თვრამეტი გამოვიდეს — აქ შეცვლაო, იქ ტრავმაო.

მაგრამ, „ლაციო“ მაინც ყიდულობს. ასეა საჭირო და მიტო. და „ლაციომ“ კარგად რომ იყიდოს ამისთვის ფეხბურთელმა მსოფლიო ნაკრებში უნდა ითამაშოს.

ერთი სიტყვით, ატყდა, მაგრამ რა ატყდა. ენგოს ტელეფონი აწკრიალდა და აღარ დადუმდა. ენგოს სახლის კართან რიგი დადგა: ჯოვანი ელბერის ბებია ჯოვანა, პიერ ვან ჰოიდონკის მამა კარლ-იოჰან-ჰანსი, სებასტიან დაისლერის ბიძა ადოლფი, ფაბიო კანავაროს უფროსი ნახევარძმა პიერპაოლოჯამპიერო, მაიკლ ოუენის მამის ძმაკაცი ჯორჯ ჰარისონი ლივერპულიდან თუ რაღაც ეგეთი, რივალდოს ცოლი რივალდინია, ზიდანის ცოლი ზიდანეტა და კიდევ ბევრი, ბევრი, ძალიან ბევრი.

ენგო ამდენ ხალხს ვეღარ აუდიოდა, ამიტომაც კართან თავისი საყვარელი ძმისშვილი სიკვდილა დაყენა, რომელიც ბოლოებს თუმნად წინ უშვებდა და მოგროვილ ფულს იქვე, ბნელ ოთახში შავსათვალებიან სლიშკომას აბარებდა. კინაღამ დაგვავიწყდა: სლიშკომა შავი ტყავის სავარძელში იჯდა და შავი ჯინსი, საროჩკა და ტყავის კურტკა ეცვა.

თვითონ ენგო დიდი ოთახში ტახტზე იჯდა, წინ უშველებელი ტელევიზორი ჩაერთო, ხელში დისტანციური მართვის პულტი ეჭირა და ტურფის მოძრაობით ფეხის შიშველ გულზე ფლოსტებს იტყაპუნებდა. მზერას ეკრანს არ აშორებდა — იქ ტონი მონტანა სიძეს ბრიდავდა — და შემოსულს ზედ შეუხედავად ეკითხებოდა:

— რამდენი.

ახლა ვინმე იკითხავს ზედ რატომ არ უყურებდაო. იმიტომ, ჩემო ძმაო, იმიტომ...

საბოლოო შემადგენლობა ასეთი გამოვიდა: რივალდო, ალი დაეი, ნაკატა, ციმბალარი, დე ბილდე, რაბესანდრატანა, თურქილმაზი, ჩაინიო, რონალდინიო, არიფი, ვამპეტა.

ენგომ სლიშკომას შემოტანილ ფურცელს ჩახედა. ესე იგი, რივალდო ყველაზე ეოშკა გამოდგა, ამიტომაც იდგება კარში და გოლებს რომ გაუშვებს ხალხის თვალში ჩაიძირება — გაიფიქრა მან. არიფი, მალადეც, პატივისცემა სცოდნია, მაგრამ ეს ვინ არის? უიმე, ნახე, ძაგო. კი არ გამიგია არასდროს, მაგრამ ეტყობა კაი ბიჭია, კარგად მოუტანია. ესე იგი მეორე ტაიმში უნდა ვათამაშო. ძალიან კარგი, თურქილმაზს შევცვლი, მამამისი მაინც არ დამევასა, რაღაც უკმაყოფილო სიფათი ჰქონდა.

— რაზე ჩაფიქრდი ძმაო — ჰკითხა სლიშკომამ. სიკვდილა ამ დროს ცხვირიდან ჟღვლინტს იძრობდა. კარგა დიდი ჟღვლინტი გამოდგა.

— ისე, რა. არაფერზე.

— იმაზე ხო არა, მთელი მსოფლიოს ბალეშჩიკობა ფიგუს დაყენებას რომ ითხოვს.

— მაგან არც დარეკა, არა?

— არა, ტო.

— რა, მოშნად ითხოვენ?

— უჰ.

— ჰოდა ბოლოს შევიყვან მანცხენა მცველად. მერე თუ მკითხავენ მარცხენა მცველად რატომ შეიყვანეო, ვეტყვი, თქვე გოიმბო, ეგ თავდამსხმელი იყო, თქვენ ვერ მიხვდით — მეთქი.

— ხარაშო.

ბაბუნა კედია

ავტორს შულავერის პულავერის ფაბრიკაში 20 პროცენტიანი წილი დახატავდა

ჰალში ცრემლების სეზონი

ჯონათან ვუდგეიტი განაჩენს ელის, მაიკლ დაბერი განაჩენით კმაყოფილია

„ლიდსის“ მიერ „დეპორტივოს“ განადგურების მეორე დღეს „ელანდ როუდიდან“ 80 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ჰალში ცნობილი სასამართლო პროცესი გაგრძელდა. გაგრძელდა და ეჭვმიტანილთა რაოდენობა ერთით შემცირდა.

ეს ერთი „ლიდსის“ ზანგი მცველი მაიკლ დაბერია, რომელსაც შარშან პაკისტანელი სტუდენტის გალახვაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ცრუმოწმეობისა და გამოძიების თვალის ახვევის მცდელობის გამო პროკურორმა მისი დასჯაც მოითხოვა. შეგახსენებთ, რომ თავიდან დაბერიმ დაკითხვებზე იცრუა, მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი ალალად აღიარა და თანაკლუბელების მიერ სარფრაზ ნაიჯების ცემა დაადასტურა.

და აი, პროცესის 37-ე დღეს ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ დაბერის შესახებ განაჩენი გამოიტანა. როგორც თვითმხილველნი ამბობენ (ბრიტანულ სასამართლოში ტელე და ფოტო გადაღება აკრძალულია), მცველი განაჩენს თავხელჩარგული უსმენდა, ბოლო სიტყვებზე კი — გამართლებულ იქნას! — ისე აღელდა, თვალები დაჭყიტა.

რამდენიმე წამში მომხდარმა კი დამსწრე საზოგადოება მეტად გააოცა და ააღელვა: მიუხედავად დაბერის დრამატული აღიარებისა, რის გამოც ჯონათან ვუდგეიტი შეიძლება დაისაჯოს, ეს უკანასკნელი წამოდგა და... გამარლებულ თანაგუნდელს გადაეხვია.

„ამ ვერდიქტმა ცხოვრების ხალისი შემმატა“ — მხოლოდ ეს თქვა მაიკლ დაბერიმ და სასამართლოს დარბაზი უკანა კარიდან დატოვა. „ჩემი კლიენტისთვის ერთწლიანი გამოცდა დასრულდა. უნდა გვაპატიოთ, თუ მეტს აღარაფერს ვიტყვით. მაიკლს სურს, ეს ამბავი აღარასდროს გაიხსენოს“ — თავმოყრილი ჟურნალისტები მისმა ადვოკატმაც გააწბილა.

გარეთ გამოსულმა დაბერიმ ცერა თითი აღმართა და მანქანაში ჩაჯდა.

ჟიურის მორიგი განაჩენი უკვე ვუდგეიტს, ლი ბოიერსა და ჩხუბის სხვა მონაწილეებს შეეხებათ.

სასამართლო მალე დამთავრდება.

უიმ თქვა, ლივერპულს შევეყარეო

უეფას თასისგან განსხვავებით, ინგლისის თასის ნახევარფინალის წილისყრისას „ლივერპულს“ ნადდად გაუმართლა. ეს „უისთან“ შეყრა არ ვარგა ცხოვრებაში, თორემ მესამედივიზიონელ „უიკომბ უონდერესთან“ შებმა სამივე ნახევარფინალისტის ოცნება იყო — აქედან კარდიფის ფინალამდე ხომ ნახევარი ნაბიჯიღა რჩება.

რა უნდა მოხდეს, რომ ჟერარ ულიეს გუნდმა წააგოს? რა და, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზვალ „უიკომბმა“ 99-წლიანი რეკორდი უნდა დაამხოს: ბოლოს, შორეულ 1902 წელს იყო, თასის ფინალში „საუთჰემტონი“ რომ გავიდა — მაშინ საპორტო ქალაქის ეს გუნდი არცერთ პროფესიულ ლიგაში არ თამაშობდა.

რაც შეეხება მესამე დივიზიონს, ის 1920 წელს შეიქმნა და მერე მხოლოდ შვიდ იქაურ გუნდს მოუხერხებია ქვეყნის თასზე ზედა ორი ლიგის წარმომადგენელთა შევიწროება და ნახევარფინალში გასვლა. „უიკომბი“ მერვეა და თუ სასწაული არ მოხდა, კვირას წინა შვიდი „გმირის“ ბედს გაიზიარებს ანუ გათამაშებას გამოეთიშება. ასე ხდებოდა ყოველთვის და სრული სიცხადისთვის ის შვიდი შემთხვევა გავიხსენოთ.

1937 წელს ლონდონის „მილუოლმა“ პირველმა დაუმტკიცა საფეხბურთო საზოგადოებას, რომ თასმა არ იცის პირველი და მესამე ლიგა — ორიოდ „თანაკლასელის“ განადგურების შემდეგ მან ჯერ თანაქალაქელი და მეორედივიზიონელი „ფულემი“ დაამარცხა, მერე კი პირველდივიზიონელებსაც (მაშინდელი პრემიერლიგა) დაერია: „ჩელსის“ და „დერბი ქაუნთის“ მიაყოლა „მანჩესტერ სიტი“ (რომელიც ერთ კვირაში ჩემპიონი გახდა) და მხოლოდ „სანდერლენდთან“ დამარცხდა ნახევარფინალში 1:2.

1954 წელს „მილუოლის“ გმირული გზა „პორტ ვეილმა“ გაიმეორა და ისიც მხოლოდ ნახევარფინალში გამეთიშა ბრძოლას. იგივე ანგარიშით (1:2) მისი ძლევა ამჯერად „ვესტ ბრომვიჩმა“ მოახერხა.

შემდეგივე სეზონში, ანუ 1955 წელს სენსაციის ავტორი „იორკ სიტი“ გახდა.

პატარა კლუბმა ჯერ სტენლი მეტიუზის და სტან მორტენსენის „ბლეკპულს“ მოუგო, მერე ალფ რამსეის და დენი ბლენჩფაუერის „ტოტენჰემს“, აი, „ნიუკასლთან“ კი დამარცხდა, თუმცა მხოლოდ გადათამაშებაში.

1959 წელს „ნორვიჩ სიტიმ“, რომელიც ადრეც გამოიჩეოდა თასზე წარმატებული თამაშით, ჯერ „მანჩესტერ იუნაიტედი“ (1957 წლის ჩემპიონი) გაანადგურა — 3:0, მერე „კარდიფ სიტის“ მოუგო 3:2, კინკლა გოლით აჯობა „ტოტენჰემს“, „შეფილდ იუნაიტედს“ გადათამაშებაში სძლია, მაგრამ ნახევარფინალში „ლუთონთან“ წააგო.

ამის შემდეგ 17 წელი გავიდა, სანამ მესამედივიზიონელებმა კვლავ არ შეახსენეს ბობოლებს, რომ თამაში მათაც იციან. 1976 წელს „კრისტალ პალასმა“ „ლიდსი“, „ჩელსი“, „სანდერლენდი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაიფრინა და ნახევარფინალში იმდროინდელ ჩემპიონ „დერბი ქაუნთისთან“ დამარცხდა. საინტერესოა, რომ მაშინ „კრისტალ პალასში“ თამაშობდა „ლესტერის“ ოდინდელი და ინგლისის ნაკრების ამასწინანდელი მწვრთნელი პიტერ ტეილორი, რომელიც დღემდე ბოლო ფეხბურთელია, მესამე დივიზიონის კლუბიდან ეროვნულ გუნდში რომ მიიწვიეს.

1984 წელს „პლიმუთს“ გაუმართლა, რადგან საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად მხოლოდ ერთი ელიტარული კლუბის, „ვესტ ბრომვიჩის“ დამარცხება მოუწია, იქ კი, ბირმინგემის „ვილა პარკს“ შესეული 20 ათასი ფანის მხარდამჭერის მიუხედავად, გრემ ტეილორის „უოტფორდთან“ დამარცხდა — 0:1.

წლევანდლამდე ბოლო ასეთი ამბავი კი 1997 წელს მოხდა. მაშინ „ჩესტერფილდს“ თავის 131-წლიანი ისტორიის ყველაზე ამაღელვებელი წუთების გადატანა მოუხდა. ნახევარფინალამდე უფრო იღბლიანი წილისყრით გასულს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ „მიდლსბრო“ დაუხვდა. ათკაციან მეტოქესთან (მიდლსბროელებს სლოვაკი კინდერი 37-ე წუთზევე გაუძევეს) „ჩესტერფილდი“ ჯერ 2:0 იგებდა, მერე 2:3 აგებდა, დამატებით დროის ბოლო წამებზე კი 3:3-ს მიაღწია. ეს ამ გუნდის მაქსიმუმი იყო, ვინაიდან გადათამაშება შეფილდის „ჰილსბროზე“ ბობი რობსონის გუნდმა იოლად, 3:0 მოიგო.

ზიზა კოტაბაიძე

ფიფას კონფედერაციის თასი 2001

კორეა (ტაეგუ, სუვონი, ულსანი, იბარაკი, ნიიგატა, იოკოჰამა) 30 მაისი-10 ივნისი

A ჯგუფი საფრანგეთი, კორეა, მექსიკა, ავსტრალია	B ჯგუფი ბრაზილია, კამერუნი, იაპონია, კანადა
30.05 საფრანგეთი — კორეა; მექსიკა — ავსტრალია	31.05 ბრაზილია — კამერუნი; იაპონია — კანადა
01.06 ავსტრალია — საფრანგეთი; კორეა — მექსიკა	02.06 კანადა — ბრაზილია; კამერუნი — იაპონია
03.06 საფრანგეთი — მექსიკა; კორეა — ავსტრალია	04.06 ბრაზილია — იაპონია; კამერუნი — კანადა

ნახევარფინალი	მატჩი მესამე ადგილისთვის	ფინალი
07.06 B1 — A2; A1 — B2	9 ივნისს	10 ივნისს

იტალია

ჰაპუნა ჰედია

კალაძე იტალიას მოერგო

XXV ტური

დღეს

ლაციო — პარმა

ხვალ

ლეჩე — ატალანტა
უდინეზე — ბარი
ვერონა — იუვენტუსი
ნაპოლი — მილანი
ბოლონია — პერუჯა
რეჯინა — ინტერი
ფიორენტინა — რომა

ზეგ

სადღეისო ვითარება

რომა	24	18	4	2	47:18	58
იუვენტუსი	24	14	7	3	41:20	49
ლაციო	24	14	4	6	44:27	46
პარმა	24	11	7	6	38:21	40
ატალანტა	24	9	10	5	29:20	37
ინტერი	24	10	7	7	32:28	37
მილანი	24	9	9	6	38:35	36
ბოლონია	24	9	6	9	29:29	33
პერუჯა	24	8	7	9	30:33	31
ფიორენტინა	24	6	12	6	38:34	30
უდინეზე	24	9	2	13	37:41	29
ლეჩე	24	7	8	9	31:38	29
ვიჩენცა	24	6	6	12	23:35	24
ვერონა	24	6	6	12	29:44	24
ნაპოლი	24	5	8	11	24:36	23
ბრეშა	24	4	10	10	26:36	22
რეჯინა	24	5	5	14	18:37	20
ბარი	24	5	4	15	21:43	19

ნეაპოლში თამაშის წინ, „მილანის“ საინტერნეტო ვებ-გვერდში კახა კალაძეზე ასე წერია: პოზიციათა მრავალჯერადი ცვლის მიუხედავად იგი არ იცვლება, უმტკივნეულოდ გადადის დაცვიდან ნახევარდაცვაში. მან ბევრჯერ დამტკიცა, რომ სხვადასხვა როლს ჩინებულად ერგება. ხან დაცვის ცენტრში იყო, ხან ფრთაზე, შემდეგ მარცხენა ნახევარმცველი გახლდათ, ერთი ხნის მერე კი შუა ნახევარმცველად იქცა. კალაძე თანამედროვე ფეხბურთელია, რომელსაც კარგად ეხერხება პერსონალური მეურვეობა. ბოლო ხანს, მან ფრიადი სირთულეები შეუქმნა ზიდანს, რუი კოშტასა და ვერონს.

„დაცვაში თამაშს დამავალებენ თუ ნახევარდაცვაში გამიშვებენ, სულერთია. მხოლოდ ერთს ვცდილობ, ძალ-ღონე არ დავიშურო. ნატვრისთვალი არ მაქვს და, არ ვიცი, რა იქნება სეზონის ბოლოს, მაგრამ ძალიან მინდა გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გავიდეს და ამ საქმეში ჩემი წვლილი შევიტანო. შინ ბევრი თამაშია და ჩვენ თითოეულში გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ, შედეგი კი თავისით მოვა“ — ამბობს კალა, როგორც მას იტალიაში უწოდებენ.

დარჩენილ შეხვედრათაგან კი პირველი ნეაპოლშია და იგი „მილანისთვის“ ერთგვარი გამოცდაც იქნება, რადგან, მას მერე, რაც მწვრთნელის თანამდებობიდან ალბერტო ძაკერონი მოხსნეს, ხოლო გუნდის გაძღოლა ჩეზარე მალდინისა და მაურო ტასოტის სთხოვეს, შავ-წითლები პირველად ითამაშებენ „სან სიროს“ გარეთ. აქამდე მილანელებმა „ბარი“ და „ლაციო“ შინ დაამარცხეს.

ნეაპოლში გამარჯვება იოლი რომ არაა, სტატისტიკით დასტურდება: „ნაპოლიმ“ შინ, ბოლოს, 21 იანვარს წააგო („უდინეზესთან“), ხოლო „მილანს“ 3 დეკემბრის შემდეგ სტუმრად არ მოუგია (იმავ „უდინეზეს“ მოუგო). საერთოდაც, ამ სეზონში მილანელებს უცხო გარემოში თამაში უჭირთ — მხოლოდ ორი გამარჯვებით დაიკვეხნიან, „ნაპოლის“ კი მშობლიურ კედლებში ყველაფერი თანაბრად აქვს განაწილებული: 4 მოგება, 4 ფრე, 4 წაგება.

„ნაპოლის“ მშობლიურ კედლებს, მოგეხსენებათ, „სან პაოლო“ ჰქვია, სადაც „შავ-წითლებს“ ისტორიაში 58 ბრძოლა გადახდენიათ. აქედან 21 იმ გუნდის გამარჯვებით დასრულდა, რომელსაც დღეს კალაძე წარმოადგენს, 16 ფრედ დასრულდა, ხოლო დარჩენილი 21 მასპინძლებმა მოიგეს.

კიდევ, სტატისტიკის ბლოკნოტი გვამცნობს, რომ ამ გუნდების ბოლო შეხვედრა, პირველ წრეში, 25 სექტემბერს „სან სიროზე“ „მილანის“ გამარჯვებით — 1:0 დასრულდა, ხოლო მწვრთნელები (ტასოტის თავი დავანებოთ), მალდინი და მონდონიკო პირველად ხვდებიან ერთმანეთს.

მილანელებს ამ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ, ნეაპოლელებს კი ამორუზო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იტალიის პირველობის 25-ე ტური მხოლოდ „ნაპოლისა“ და „მილანის“ შეხვედრისგან როდი შედგება. მაგალითად, ლიდერი „რომა“, ორშაბათს 9 აპრილს, ფლორენციაში თამაშობს. რომაელებს, ბუნებრივია, ერთი კვირის წინ მოპოვებული 9 ქულიანი უპირატესობის, სულ მცირე, შენარჩუნება სწადიათ. „ფიორენტინა“ კი მე-10 ადგილზეა და, ალბათ, უეფას თასზე გამსვლელი ადგილის მოპოვებას ფიქრობს.

კიდევ, წინა ტურში ფეხდაცდენილი „იუვენტუსი“ ვერონაში შეეცდება საქმეების გამოსწორებას.

„თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, „რომას“ კვალში ვედექით, მაგრამ მერე სამწუხარო შეცდომები დავუშვით და ჩამორჩენა გაიზარდა“ — ამბობს ტურინელთა ფორვარდი ალესანდრო დელ პიერო — „მე და ჩემი თანაგუნდელები ერთი აზრისანი ვართ: ბოლო ტურში, „ბრეშასთან“ შეხვედრის მსვლელობისას გონება გაგვფანტა. ნაცვლად იმისა, რომ კულმინაციურ მომენტში თამაში „მოგვეკლა“, მეტოქემ გაგვითანაბრა. ახლა, ერთი რომ შეცდომა უნდა გავითვალისწინოთ, მეორეც, სხვა ლიდერების შედეგებს, სატრანსფერო ჭორებსა და საგაზეთო პუბლიკაციებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ.

ხომ ხედავთ, როგორ თამაშობს „რომა“... ვინ ელოდა ამას?“

„ვერონასთან“ ზიდანი არ იქნება და ამიტომ, დელ პიერო, შესაძლოა, ახალ ამპლუაში ვიხილოთ. თავად ასე ამბობს:

„მწვრთნელს არ აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ თუ თავდამსხმელების უკან, ზიზუს პოზიციაზე თამაშს დამავალებს, უარს არ ვიტყვი. ახლა იმედიანი პერიოდი მიდგას, ნერვიულობამ იკლო და საჯარიმოში ფეხის დაცდენის აღარ მეშინია. გახსოვთ, ბარიში, ჩემი ცხოვრების უმძიმეს დღეებში (მამა გარდაეცვალა) გოლი რომ გავიტანე? აი, მას მერე შემოტრიალდა ყველაფერი“.

25-ე ტურის შეხვედრათაგან კიდევ, გამორჩეულად დღევანდელი „ლაციო“ — „პარმა“ გვეჩვენება. ამ შეხვედრაში პარმელთა მწვრთნელი, რენცო ულივიერი უეჭველად აპირებს განელი სტეფან აპიას მოედანზე გაშვებას, თან მარცხენა ფრთაზე.

„რთული ექსპერიმენტი მელის, მაგრამ ვალდებული ვარ სიახლეს ალღო ავიღო“ — ამბობს განელი — „ბოლო ხანს მართალია, არ მითამაშია, მაგრამ ეს უკეთესია, დავისვენე. ორი წლის წინ, „უდინეზეში“ რომ ვთამაშობდი, „ლაციოს“ გოლი გავუტანე, ოღონდ არ ჩამითვალეს. ახლა ვნახოთ“.

ინგლისი

როგორი მასწავლებელია მწვრთნელი ვენგერი?

თასის ნახევარფინალი

ხვალ

არსენალი — ტოტენჰემი
უიკომბი — ლივერპული

XXXII ტური

დღეს

ასტონ ვილა — ვესტ ჰემი
დერბი ქაუნთი — ჩელსი
ლიდსი — საუთჰემპტონი
ლესტერი — ქოვენთრი

ხვალ

ევერტონი — მანჩესტერ სიტი

ზეგ

მიდლსბრო — სანდერლენდი

სადღეისო ვითარება

მანჩესტერი	31	21	7	3	68:21	70
არსენალი	31	16	9	6	49:29	57
იფსვიჩი	31	16	4	11	47:36	52
ლიდსი	31	14	8	9	46:38	50
ლივერპული	29	14	7	8	50:31	49
სანდერლენდი	31	13	9	9	37:32	48
ჩელსი	30	12	9	9	54:38	45
ჩარლტონი	31	12	9	10	41:42	45
ლესტერი	31	13	6	12	32:35	45
ასტონ ვილა	31	11	11	9	36:32	44
საუთჰემპტონი	30	12	8	10	34:37	44
ტოტენჰემი	31	10	9	12	36:40	39
ნიუკასლი	30	11	6	13	36:43	39
ვესტ ჰემი	31	8	11	12	35:40	35
ევერტონი	31	9	8	14	33:44	35
დერბი ქაუნთი	31	8	11	12	31:47	35
მიდლსბრო	31	6	13	12	34:38	31
სიტი	31	6	9	16	34:52	27
ქოვენთრი	31	6	9	16	28:51	27
ბრედფორდი	30	3	9	18	22:57	18

„ჩემპიონთა ლიგაში უმნიშვნელოვანესი მატჩების დროა, პრემიერლიგაშიც ერთი ამბავია, მაგრამ ჩვენი გულშემატკივარი ამ ბოლო დროს სულ „ტოტენჰემთან“ ნახევარფინალზე საუბრობს. ნუთუ ეს თამაში ყველაზე მნიშვნელოვანია? „პირადად ჩემთვის ეს მატჩი ერთი ჩვეულებრივი შეხვედრაა და ისევე ვემზადები, როგორც ყოველთვის. ცხადია, ფინალში გასვლა და თასის მოგება კარგი რამ იქნება, მაგრამ მე ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ვოცნებობ“ — ამბობს ტიერი ანრი.

„არსენალის“ ფრანგი მეგოლე რომ ნამდვილი პროფესიონალია, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ, სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო, არც ესაა ჰაერზე ნათქვამი, მით უმეტეს, რომ ის კუნძული, სადაც ამჟამად ანრი იმყოფება, ევროპის ყველაზე კონსერვატორულ ალაგად ითვლება. ჰოდა, რაღაა გასაკვირი, რომ „არსენალის“ ფანობისთვის მთავარი საძულველი „ტოტენჰემის“ დამარცხებაა, თორემ გინდ „სან სიროდან“ ჩემპიონთა თასი ჩამოიტანო, მთელი წელი მეზობლების ქილიკი არ აგცდება — სხვებთან ხართ მაგარი, თორემ ჩვენთანო...

მოკლედ, ხვალ დილიდან ჩრდილო ლონდონიდან მანჩესტერისკენ ორი არმია დაიძვრება — ცალკე „მეთოფეთა“ და ცალკე „დეზებიანი მამლებისა“. თბილისის დროით ექვსის ნახევარზე კი „ოლდ ტრეფორდი“ გადაიჭედება და ბრძოლაც გაჩაღდება.

„ტოტენჰემს“ პირველად უხელმძღვანელებს გლენ ჰოდლი, ვინც ახალ კლუბთან კონტრაქტს ხელი ორშაბათს მოაწერა, თუმცა ორი დღით ადრე ამავე გუნდების პრემიერლიგურ დერბის დაესწრო და ბევრი რამ ჩაინიშნა. ახლა მთავარი იმ შეცდომების აღმოფხვრაა, რამაც „ტოტენჰემს“ 0:2 წააგებინა, თორემ ჰოდლს რომ შეგირდების შეგულიანება არ დასჭირდება, ფაქტია.

დერბია, „ტოტენჰემს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს და ფინალში გასვლის გარდა „ძამლებმა“ რევანშიც სთვისაც უნდა იომონ. მეტი რაღა ინტრიგაა საჭირო ერთი მატჩისთვის? მაგრამ არის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი რამ — ჰოდლი „ტოტენჰემში“ კარიერას არსენ ვენგერის წინააღმდეგ იწყებს. „ის კარგი მოაზროვნეა და ჩინებული ანალიზის უნარი აქვს“ — ამბობს ვენგერი ჰოდლზე. „რაც ვიცი, ბევრი რამ სწორედ მისგან ვისწავლე“ — ამბობს ჰოდლი ვენგერზე. სად და როდის ისწავლა? 80-იანი წლების ბოლოს „მონაკოში“ თამაშისას, როცა ამ გუნდს სწორედ მუსიე არსენი წვრთნიდა. ასწავლა ვენგერმა ხეზე ასვლა? ეს ხვალ გამოჩნდება.

რაც შეეხება შემადგენლობებს, „არსენალს“ ისევ არ ეყოლება ტრავმირებული დენის ბერხკამპი. სამაგიეროდ, მოსალოდნელია, რომ „ტოტენჰემს“ დაუბრუნდება კაპიტანი სოლ კემპბელი.

იმავ კვირა დღეს პროფესიულ ლიგაში ოდენ 1993 წელს აღზევებული „უიკომბი“ ბირმინგემის „ვილა პარკზე“ თავის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მატჩში „ლივერპულს“ ეთამაშება. ულიეს გუნდი საკმაოდ გადაღლილია „ბარსელონასთან“ მძიმე ბრძოლით, თან მერსისაიდელებს ისიც ახსოვთ, რომ ლიგის თასის ფინალში, პენალტებითღა აჯობეს ქვედალიგელ „ბირმინგემ სიტის“, ამიტომ ფრანგი მწვრთნელი მესამე დივიზიონის ბოლოდან მეოთხე ადგილზე მყოფ გუნდთან სრული ძალით თამაშს გეგმავს. გოლიათს, ცხადია, არც „უიკომბი“ შეუშინდება იმის მიუხედავად, რომ წინა წრეში „ლესტერის“ დამარცხების შემდეგ თავის დივიზიონში შვიდიდან ხუთი მატჩი წააგო („უიკომბზე“ და მის გმირობაზე მცირე წერილს მე-7 გვერდზეც გაეცნობით).

სათასო ნახევარფინალების გამო პრემიერლიგის მორიგი ტური შეკვეცილია, თუმცა საინტერესო მატჩებს აქაც ვიპოვით. მაგალითად, ორშაბათის შეხვედრა მიდლსბროში, სადაც ტერი ვენიბლზის „ბორო“ საზიფათო ზონიდან თავის დაღწევას შეეცდება, „სანდერლენდი“ კი ევროსარბიელზე გამსვლელ ადგილზე დაბრუნებას. „მიდლსბროს“ მდევარი „მანჩესტერ სიტი“ ლივერპულში ჩადის, სადაც პირველ წრეში „მეინ როუდზე“ 0:5 დამარცხებით გამწარებული „ევერტონი“ ელის. ოთხშაბათს ესპანურ „დეპორტივოსთან“ ზღაპრული თამაშის მერე „ლიდსი“ უჰ ოდლოდ დარჩენილ „საუთჰემპტონს“ მასპინძლობს და მომავალ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მესამე ადგილზე დაბრუნებას ლამობს.

ცხრილის სამხრეთ ნაწილში მოფუსფუსე „დერბი ქაუნთი“ ლონდონელ დიდგვაროვნებს ხვდება და აწ უკვე ქინქლაძესთან ერთად შეეცდება უსიამო გარემოსგან თავის დაღწევას, მით უმეტეს, რომ „ჩელსი“ ამ სეზონში სტუმრად უხეიროდ ირჯება და 14 გასვლითი შეხვედრიდან ოდენ ერთი, ისიც თანაქალაქელ „ვესტ ჰემთან“ მოიგო.

რეი პარლოუს „არსენალი“ და შტეფან ფროინდის „ტოტენჰემი“ ერთმანეთს გასულ კვირასაც შეხვდნენ, მაგრამ მაშინ გლენ ჰოდლი ტრიბუნაზე იჯდა

ვერმანია

ვანო ოქროპირიძე ბერლინიდან

მივედი, ვნახე, გავჭაღარავდი

XXVIII ტური

დღეს

ინტრახტი — ლევერკუზენი
კიოლნი — უნტერჰახინგი
მიუნხენი — ბოხუმი
ვერდერი — ჰერტა
ფრაიბურგი — ჰამბურგი
დორტმუნდი — ბაიერნი

ხვალ

შალკე — ლაუტერნი
ჰანზა — შტუტგარტი

გუშინ

კოტბუსი — ვოლფსბურგი

საფეხბურთო ვითარება

ბაიერნი	27	15	4	8	53:31	49
დორტმუნდი	27	14	6	7	48:35	48
შალკე	27	13	7	7	46:26	46
ლევერკუზენი	27	14	4	9	46:33	46
ჰერტა	27	15	1	11	50:44	46
ლაუტერნი	27	14	4	9	40:37	46
კიოლნი	27	11	7	9	47:39	40
ვერდერი	27	11	7	9	39:40	40
ვოლფსბურგი	27	10	9	8	51:35	39
ფრაიბურგი	27	10	9	8	38:31	39
ჰანზა	27	10	4	13	28:39	34
მიუნხენი	27	9	7	11	33:45	34
ჰამბურგი	27	9	6	12	50:49	33
კოტბუსი	27	9	2	16	32:44	29
აინტრახტი	27	8	5	14	33:52	29
უნტერჰახინგი	27	7	8	12	26:45	29
შტუტგარტი	27	6	9	12	35:43	27
ბოხუმი	27	6	5	16	23:50	23

„ვერდერი“, „მანჩესტერი“, „დორტმუნდი“, „შალკე“ და ისევ „მანჩესტერი“ — მიუნხენის „ბაიერნს“ 31 მარტიდან 18 აპრილამდე მართლაც ურთულესი კალენდარი აქვს. ორი მატჩი უკვე წარსულს ჩაბარდა — 2:3 შინ „ვერდერთან“ და 1:0 სტუმრად „მანჩესტერ იუნაიტედთან“. რა იქნება დღეს?

დღეს ტურის მთავარი თამაშია, მეორეადგილოსანი დორტმუნდის „ბორუსია“ ლიდერ „ბაიერნს“ მასპინძლობს და თუ მოუგო, ლიდერობასაც ჩამოართმევს.

„კაიზერსლაუტერნთან“ ჩემი გუნდის თამაში იმის საფუძველს მაძლევს, რომ მიუნხენელებთანაც სამ ქულაზე ვიფიქროთ“ — აღნიშნავს თამაშის წინ მასპინძელთა თავკაცი მათიას ზამერი. ამ შეხვედრისთვის ორივე გუნდი საუკეთესო შემადგენლობით ემზადება. „ბაიერნი“ მანჩესტერში გამარჯვების მერე კარგ ხასიათზეა და განწყობის გაფუჭებას არც დღეს აპირებს. „უდავოა, ძნელი თამაში გველის, მაგრამ უნდა მოვიგოთ, სხვა გზა მოჭრილი გვაქვს“ — აცხადებს ბავარიელთა მეკარე ოლივერ კანი და დასძენს, გამარჯვების უკეთესი შანსი მეტოქეს აქვს, ჩვენთან შედარებით დასვენებულები არიანო.

დორტმუნდელებს პირველ წრეში სტუმრად 2:6 შერცხვენისთვისაც მოუწევთ რევანშზე ფიქრი, თანაც „ბორუსიას“ შინ „ბაიერნი“ აგერ უკვე ექვსი წელია, ვერ დაუმარცხებია.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი ხვალ გელზენკირხენში შედგება — „შალკე“ ხუთშაბათს ალავესში მიწასთან გასწორებულ „კაიზერსლაუტერნს“ მიიღებს.

„ჩემპიონობაზე სეზონის წინ არც გვიოცნებია, მაგრამ შანსი მოგვეცა და რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ? ახლა თავს აღარ დავზოგავთ“ — „შალკეს“ კაპიტნის, პოლონელი ტომაშ ვალდოხის ეს სიტყვები გუნდის განწყობაზე მეტყველებს. გელზენკირხენელთა კარგმა შედეგმა კლუბის ხელმძღვანელობას აქციების გამოშვება აფიქრებინა და, როგორც ვარაუდობენ, მალე „შალკე“ საქციო საზოგადოებად გარდაიქმნება.

„კაიზერსლაუტერნის“ უფროსებს კი ჯერ სხვა პრობლემები აქვთ მოსაგვარებელი. მაგალითად, ანდრეას ბრემესა და იური ჯორკაეფს შორის უთანხმოება. ფრანგი ფეხბურთელი ამბობს, ერთთვიანი ტრამვის შემდეგ თავს ჩინებულად ვგრძნობ, ძირითადში დაბრუნებას ვიმსახურებო, თუმცა მწვრთნელი სხვაგვარად ფიქრობს. ბოლო ორი მატჩის შემხედვარე კი აზრს შეიცვლის და ალბათ ხვალ ფრანგს ისევ ვიხილავთ „წითელ ეშმაკებში“.

ფოლკერ ფინკეს კი წინა ტურში დაშვებული შეცდომა, ჩვენდა სამწუხაროდ, ძალიან ძვირი დაუჯდა. ლევან ცქიტიშვილს მოუშუშებელი ტრავმა გაურთულდა და ახლა საკმაო ხანს მოუწევს

ფრიდელ რაუშს საფიქრალი მოეძალა

დასვენება. კობიაშვილი და იაშვილი კი კვლავაც ძირითადში იქნებიან და შინ ამჯერად „ჰამბურგის“ ბეჭებზე გაკვრას შეეცდებიან, თუმც შესუსტებული დაცვით — მასპინძლებს არც კონდე, მიულერი, დრეერი და ჰერმელი ეყოლებათ. ამიტომაც ფინკეს ტაქტიკური ცვლილებების მოხდენა მოუწევს.

„კობი ის ფეხბურთელია, რომელიც გუნდს არ დააღალატებს, მისი ნდობა შეიძლება“ — ფრაიბურგელთა მეკარე რიხარდ გოლცმა ეს სიტყვები, ალბათ, მიხვდით, ლევან კობიაშვილზე თქვა. ლევანი დღეს გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, დაცვის ცენტრში ითამაშებს.

იქნება თუ არა დღეს „კიოლნის“ ძირითადში არჩილ არველაძე, ამას მწვრთნელი ევალდ ლინენი თამაშის წინ გადაწყვეტს. ქართველს სიცხე ჰქონდა და წინა ტურიც ამიტომ გამოტოვა, ვარჯიშს კი სამშაბათს შეუდგა. კიოლნელებმა კი „უნტერჰახინგს“ შინ უარველაძეოდაც უნდა მოუგონ.

„აინტრახტი“ ჩემპიონობის მაძიებელ „ლევერკუზენს“ უმასპინძლებს.

„სამშაბათს შევატყვე, რომ რამდენიმე ღერი თმა კიდევ გამითეთრდა. ის, რაც ვარჯიშზე ვნახე, საშინელები იყო“ — აინტრახტელთა ახალი მწვრთნელის ფრიდელ რაუშის ეს სიტყვები, ალბათ, თავის დაზღვევის მიზნით უფრო არის ნათქვამი.

იგი აქამდე სამჯერ მიუწვევიათ გუნდის გადასარჩენად, მაგრამ ორჯერ ამაოდ, რა იქნება ამჯერად, სეზონის ბოლო დაგვანახებს. ისიც სათქმელია, რომ რაუშს თავის 24-წლიან სამწვრთნელო კარიერაში თორმეტჯერ შეუცვლია გუნდი.

„რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვიგოთ — ამბობს „ლევერკუზენის“ მენეჯერი რაინერ კალმუნდი — არადა, პირველობაზე ფიქრს თავი უნდა ვანებოთ.“ დღეს სტუმრებს დისკვალიფიცირებული ზე რობერტოს სახით დიდი ძალა დააკლდებათ. ისე, ბერტი ფოგთსს გუნდი ბოლო ერთი კვირა შეკრებაზე ჰყავდა გადაყვანილი.

საინტერესო მატჩია მოსალოდნელი ბრემენშიც. უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლი „ვერდერი“ ბერლინის „ჰერტას“ დაუხვდება. ბერლინელებს, მოგეხსენებათ, პირველობა ამოუჭრიათ გულში. თამაშამდე ორივე გუნდში ერთნაირი განწყობაა. მხოლოდ მოგება, სხვა შედეგი არ დაგვაკმაყოფილებსო, გუნდის მწვრთნელებს თომას შაფსა და იურგენ რიობერს თითქოს პირი შეუკრავთო, ერთიდაიმავეს ამბობენ.

ესპანეთი

გიორგი დარჯანია

ვინ უფრო კარგი მასპინძელია?

XXIX ტური

დღეს

რაიო ვალეკანო — ვალენსია

ხვალ

სოსიედადი — ოვიედო
ალავესი — ვალიადოლიდი
ესპანიოლი — მალაგა
სელტა — ბილბაო
ოსასუნა — რასინგი
სარაგოსა — დეპორტივო
ვილიარეალი — ბარსელონა
ლას პალმასი — რეალი
ნუმანსია — მალიორკა

საფეხბურთო ვითარება

რეალი	28	18	5	5	61:30	59
დეპორტივო	28	16	6	6	56:33	54
ვალენსია	28	14	7	7	43:22	49
ბარსელონა	28	14	7	7	59:39	49
მალიორკა	28	12	10	6	38:34	46
ვილიარეალი	28	12	6	10	40:36	42
სელტა	28	11	8	9	39:39	41
ალავესი	28	11	7	10	42:37	40
ესპანიოლი	28	11	6	11	35:30	39
მალაგა	28	11	5	12	45:46	38
რაიო ვალეკანო	28	9	10	9	48:47	37
ბილბაო	28	9	9	10	36:40	36
ლას პალმასი	28	10	5	13	29:47	35
სარაგოსა	28	7	11	10	39:41	32
ვალიადოლიდი	28	7	11	10	31:35	32
ოვიედო	28	9	5	14	38:51	32
ოსასუნა	28	6	9	13	31:43	27
ნუმანსია	28	7	6	15	27:47	27
რასინგი	28	7	5	16	34:48	26
სოსიედადი	28	6	8	14	30:56	26

„დეპორტივო“ სტუმრად ძალიან ცუდად რომ თამაშობს, შუა კვირაში ლიდსშიც დადასტურდა. გალისიურმა კლუბმა, რომელიც პრიმერადივიზიონის მიმდინარე სეზონში შინ არ დამარცხებულა, სტუმრად თოთხმეტიდან ექვსი თამაში წააგო. ამ ფაქტმა ლაკორუნიელთა მწვრთნელ ხავიერ ირურეტას ათქმევინა, სარაგოსაში განსაკუთრებული ყურადღებით ყოფნა გვმართებს, თორემ ერთი-ორი შეცდომა და ის დაგვემართება, რაც ლიდსშიო.

რეალურად „დეპორტივო“ ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც „რეალის“ გადასწრება შეუძლია, თორემ თეორიული შანსი არც მეთექვსმეტეადგილოსან „ოვიედოს“ დაუკარგავს.

გალისიელთათვის ეს ურთულესი საქმეა. მით უფრო, რომ მწვრთნელის იმედი, დონატო და მაურო სილვა დროულად მომჯობინდებიანო, არ გამართლდა. რაც შეეხება „დეპორტივოს“ შეტევის ხაზს, ირურეტას „სარაგოსასთან“ მატჩის წინაც იგივე კითხვა აწუხებს, რაც მთელი სეზონის განმავლობაში: დიეგო ტრისტანი, ვალტერ პანდიანი თუ როი მაკაი? გეხსომებათ, „ელანდ როუდზე“ ოდენ ჰოლანდიელი თავდამსხმელის თამაშით „დეპორტივო“ რასაც გამორჩა, თუმცა ისიც წარმოუდგენელია, ხვალ ირურეტამ სამივე სასტარტო შემადგენლობაში დააყენოს.

„დეპორტივოს“ მსგავსად, შინ „სარაგოსაც“ ძალიან კარგად თამაშობს და რაკი ხვალ მასპინძელი ისაა, ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არ იქნება. ცამეტი საშინაო მატჩიდან სარაგოსელებმა მხოლოდ ერთი დათმეს, სამაგიეროდ, „ბარსელონა“ დაამარცხეს და „ვალენსიას“ ფრედ ეთამაშნენ.

„რაიო ვალეკანოს“ ერთი ცუდი ზნე სჭირს, სეზონს ძალიან კარგად იწყებს, მერე კი აურევს ხოლმე. თუმცა გასულ უქმეებზე ვალეკანოელთა ვალიადოლიდში გამარჯვებამ და ცოტა ადრე ზურგიდან უეფას თასის ტვირთის მოხსნამ „რაიოზე“ შესაძლოა, დადებითად იმოქმედოს, „ვალენსიას“ იოლად არაფერი დაუთმოს.

„ვალენსიასი“ გაგკვირვებია. ექტორ რაულ კუპერი გვარწმუნებდა, ჩემპიონობისთვის ვიბრძვითო და წინა ორი თამაში წააგო. ამას ჩემპიონთა ლიგაში „ჰაიბერიზე“ მარცხიც დავუმატოთ და რამდენს მივიღებთ?



ექტორ რაულ კუპერი

გვიჭირს დაჯერება, რომ „ალავესი“ უეფას თასის ფინალს მიღმა დარჩება. ასევე გვიჭირს იმის დაჯერებაც, რომ შინაურ ასპარეზზე ვიტორიელები ასეთი თამაშით რამეს მიაღწევენ — რამეში მომავალი სეზონისთვის ევროტურნირის საგზურის მოპოვებას ვგულისხმობთ. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ „ალავესმა“ ბოლო ხუთი პრიმერადივიზიონური მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ნელ-ნელა მერვე ადგილზე ჩაცურდა. თუ ვიტორიელებს ამჯერადაც დაუცდათ ფეხი...

აქ ისიცაა გასაკვალიწინებელი, რომ ვალიადოლიდელთა შტაბში ცვლილებაა. ფრანსისკო ფერაროს გაშვების შემდეგ გამოთავისუფლებულ მწვრთნელის პოსტზე დროებით შემსრულებლად პეპე მორე დანიშნა და აბა, ვის სურს უიღბლოდ დაწყება. გავიხსენოთ, რომ ფერაროს გაშვების მიზეზი ზედიზედ ოთხი დამარცხება გახდა.

„ლას პალმასი“ შერცხვენილი დაბრუნდა წინა კვირას „კამპ ნოუდან“ და ეგებ, შინ „რეალთან“ რამეს გახდეს. კანარელთა გარდა ამაზე კიდევ სამი გუნდი მაინც ოცნებობს.

სტამბოლში დამარცხებულ მადრიდელებს ლას პალმასში კაპიტანი ფერნანდო იერო არ ეყოლებათ, რომელიც დისკვალიფიცირებულია და ჯერემი ნჯიტაპი შეცვლის.

ვილიარეალში წაგება ლორენს სერა ფერერს შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს, მით უმეტეს, რომ მის თავზე შავი ღრუბლები კარგა ხანია, შეიკრიბა. უეფას თასის მოპოვების უპირველესი კანდიდატ „ბარსელონას“ შანსი ხუთშაბათის მატჩის შემდეგ ცოტათი შემცირდა და ქომაგებს თეთრი ცხვირსახოცები მოშზადებული აქვთ. სატურნირო თვალსაზრისით არგენტინელი ნახევარმცველი დიეგო კანიას გარეშე დარჩენილი „ვილიარეალის“ დამარცხება კატალონიელებს ბევრს არაფერს მისცემს, მაგრამ ქომაგთა რისხვას რამდენადმე ჩააცხრობს.

მდგომარეობის გამოსწორების ასეთი შანსი „რეალ სოსიედადს“ ეგებ აღარც ჰქონდეს. მისი ერთი უშუალო მეტოქე „ნუმანსია“ ოთხეულში მოხვედრის მოსურნე „მალიორკას“ ხვდება, ხოლო დანარჩენი ორი — „ოსასუნა“ და „რასინგი“ ერთმანეთს უპირისპირდებიან და ორივე ხომ ვერ მოიგებს? ჰოდა, სანსებასტიანელებსაც ბრწყინვალე შანსი მიეცათ, ბოლოს და ბოლოს რა განსაკუთრებულია ძალის გუნდია „ოვიედო“, რომელსაც სტუმრად ერთადერთი თამაში აქვს მოგებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოს ავტორი ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური. 7 აპრილი

რუმინეთი - საქართველო

ბუქარესტი. «სტიაუას» სტადიონი. 13 საათი

ოცი ქულით მოვიგებთ

მიტუ მთიულიშვილს ორ ბოთლ შამპანურზე დაენაძლევა

დღეს, თბილისის დროით სამ საათზე, საქართველოს ეროვნული ნაკრები ბუქარესტში რუმინეთს შეერკინება. დღეს გაირკვევა წლევანდელი „ევროპის ერთა თასის“ გამარჯვებული. ქართველებს უკან დასახევი გზა არა აქვთ, უნდა გაიმარჯვონ, სხვა შემთხვევაში თასი კარპატელებს დარჩებათ.

რაგბის ქართველ გულშემატკივარს საშუალება ექნება, ამ მნიშვნელოვან შეხვედრას საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე აღევნოს თვალი, ოღონდ ვიდეოჩანაწერით მოუწევს დაკმაყოფილება. არადა, თავიდან საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს ამ მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი იქნებოდა. რუმინეთის რაგბის ფედერაციის მედიაპარტნიორ „პრო სპორტსა“ და საქართველოს ტელევიზიის „პირველ არხს“ შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. კარპატელები ყოველ ნაბიჯზე ფულს ითხოვდნენ, მაგრამ მერე საქმეში რუმინეთის რაგბის ფედერაცია ჩაერია: წლევანდელი და საგაისო რეპორტაჟები ბარტერულად გავცვალოთ, ფინანსურად არც ერთს გვილხინს და ასე უპრიანი იქნებაო. ქართული მხარე რუმინელთა წინადადებას დაყაბულდა, თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ რუმინეთის ტელევიზიას იმ თანამგზავრის დავალიანება ჰქონია, რომლის მეშვეობითაც პირდაპირი რეპორტაჟი უნდა ეწარმოებინა და საბოლოოდ მხოლოდ ვიდეოჩანაწერის ჩვენებაღა გაახერხა.

ჩვენი ეროვნული გუნდი ბუქარესტში ხუთშაბათს ჩაფრინდა და სასტუმრო „სტუდენტ პარკში“ დაბინავდა. მათ გუშინ შეუერთდნენ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი. ბორჯღალოსნები, როგორც იცით, ფრანგი მთავარი მწვრთნელის, კლოდ სორელის მეთვალყურეობით მონპელიეს მახლობლად, გრანდ მოტეს ბაზაზე ემზადებოდნენ. მუსიე კლოდმა თავდაპირველად ოცდაექვს მორაგბეს უხმო, ამათგან კი ის ოცდაორი შეარჩია, ვისაც რუმინეთთან უპირებს დაყენებას. სამწუხაროდ, საფრანგეთის ჩემპიონატში დაშავდნენ მესამეხაზელი გია ლაბაძე და უნივერსალი პირველხაზელი გოდერძი შველიძე. გარდა ამისა, სათადარიგო უკანახაზელ გუჯა ივვაძესაც მიკრო ტრავმა აწუხებდა. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდნენ გრეგუარ იაშვილი და ბადრი ხეხელაშვილი, რომელთაც კლოდ სორელმა უმალ 22-კაციან შემადგენლობაში გამოუნახა ადგილი.

ტრავმებს ვერ გადაურჩნენ რუმინელებიც. მათი გასაჭირი ჩვენთან შედარებით, აბა, რა მოსატანია. კარპატელებს ერთიმეორის მიყოლებით გამოაკლდნენ ლიდერები. ჯერ იყო და შარშან ქართველთა დამწიოკებელი, მე-9 ნომერი პეტრე მიტუ დაიმტვრა. მას სამი კვირის წინ რუსებთან მატჩში მუხლი დაუზიანდა და საოპერაციოც შეიქნა. მიტუ წლეულს გუნდის კაპიტანი და „ერთა თასის“ უპირველესი მეგოლე იყო. ამდენად იგი აუნაზღაურებელი დანაკლისია რუმინელთათვის. მერე „მუხის ფოთლების“ გარემარბმა და საფრანგეთში სახელდაგდებულმა გეორგე სოლომიემ მიიღო ტრავმა და ვერც ის დაეხმარება თავისიანებს. საეჭვოა შერკინების მესამეხაზელის, ფლორიან კოროდიანუს თამაშიც. კოროდიანუს ცოლი საფრანგეთში დღედღეზე ბავშვს ელოდება და ქმარმაც თავიდან შემოთვალა, სარაგბოდ არ მცხელო, მაგრამ ბოლოს ქართველთა წინააღმდეგ თამაშს დაჰყაბულდა, თუმც რუმინელთა საბრძოლო ბანაკში ჯერ არ გამოჩენილა. მიუხედავად ამისა, კარპატელთა მთავარი მწვრთნელი მირჩა პარასკივი კოროდიანუს კაცურ სიტყვას ენდობა და იგი წინასამატჩო განაცხადშიც შეიყვანა.

ვინ უკაპიტნებს რუმინელებს მიტუს არყოფნაში, ჯერ დანამდვილებით არ გარკვეულა. თავდაპირველად მიტუს შემცვლელად გეორგე სოლომიეს მიიჩნევდნენ, მაგრამ გამოცდილი გარემარბი დაიმტვრა და არჩევანი ალექსანდრუ მანტაზე შეაჩერეს, სათადარიგო ვარიანტად კი სორინ სოკოლი დაიგულეს, რომელიც აქამდე რუმინეთის სახელით თამაშს უარობდა, მაგრამ მერე შეპირებული გასამრჯელო ჭკუაში დაუჯდა.

მიუხედავად ტრავმებისა, რუმინელები იმედიანად არიან განწყობილი. აი, რას ამბობს ტრავმირებული პეტრე მიტუ: „მიუხედავად იმისა, რომ მე ვერ ვითამაშებ, ჩემი გუნდის გაშარჯვებაში ეჭვიც არ მეპარება. ერთ-ერთ ქართველს, მევლუდ მთიულიშვილს, რომელიც „ორიიაკში“ ჩემი თანაგუნდელია, სანაძლეო დავუდე ორ ბოთლ შამპანურზე, რომ ჩვენ მინიმუმ 20 ქულის სხვაობით მოვიგებთ. დარწმუნებული ვარ, თამაშის მერე მოგებულს ორივე ერთად დავლევთ“.

მიტუსგან განსხვავებით სორინ სოკოლი უფრო ფრთხილობს: „საქართველო ძალიან ძლიერი გუნდია, ქართველი მორაგბეები ფიზიკურად და ტაქტიკურად კარგად არიან მომზადებული. ერთი შეცდომაც კი ძვირად დაგვიჯდება. მთავარია მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს. თუ ეს შევძელით, ყველაფერი კარგად იქნება.“

ქართველები და რუმინელები აქამდე ორჯერ დაეჯახნენ ერთმანეთს. პირველად, 1998 წლის 18 ნოემბერს, დუბლინში რუმინეთმა 27:23 მოიგო და მეოთხე მსოფლიოს თასზე თავად გავიდა. მეორედ, 2000 წლის 2 აპრილს, თბილისში დაუპირისპირდა რუმინეთი საქართველოს. ეს მატჩი პირველად გამართული „ევროპის ერთა თასის“ ეგიდით ტარდებოდა, სწორედ ამ შეხვედრის შედეგის მიხედვით ირკვეოდა თასის მფლობელი. მიუხედავად ქართველთა მედგარი წინააღმდეგობისა, რუმინელებმა 23:20 მოიგეს და თბილისში ჩამოტანილი თასი სამშობლოში გაიყოლეს.

რა მოხდება დღეს, კაცმა არ იცის. იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად ნავსი გატყდება და მესამე ცდიდან გამარჯვება ქართველებს დაგვრჩება. ერთი, რომ სორელმა ჩვენს ბეკებს ისეთი ლაღად ბურთაობა შეასწავლა, მათ რუსეთი და ორმსოფლიოთას მოვლილი ესპანეთი იოლად დაჯაბნეს. მეორე, სოლომიეს და მიტუს გარეშე დარჩენილი რუმინელები უკვე ის მრისხანე გუნდი აღარაა, მათთან გამარჯვება წარმოუდგენელი იყოს. მესამე და მთავარი მოტივაცია — ბორჯღალოსნები წლეულს უფრო დაღვინდნენ, პროფესიონალებაც შეიძინეს. მათ მეტოქის შიში აღარ აქვთ. ჩვენს მორაგბეებს ჩინებული შანსი გაუჩნდათ, პირველი საერაშორისო ჯილდო მოიგონ და ამით ქართველი ხალხი უზომოდ გაახარონ. ამის საპირისპიროდ რუმინეთს აქამდე მოპოვებულის შენარჩუნება უნდა. მისი მოთამაშეები, ქართველთაგან განსხვავებით, პატრიოტები ნამდვილად არ არიან და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, ნაკრებში თამაშით რაც შეიძლება მეტი ფული დასცინცლონ თავიანთ ისედაც ღატაკ ფედერაციას.

გუშინ რუმინეთში მყოფ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს შევეხმიანეთ:

— მე და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი შუადღისას ჩამოვედით. მორაგბეები უკვე სასტუმროში იყვნენ დაბინავებულნი. როგორც მითხრეს, რუმინელებმა საკმაოდ ნორმალურად გვიმასპინძლეს. „სტუდენტ პარკი“, სადაც ჩვენი ნაკრები ცხოვრობს, წყნარ ადგილზეა აშენებული. საკვლიაში მოედანიც და ბურთებიც გამოგვიყვეს. ამ მხრივ პრობლემა არ შეუქმნია. რუმინელები, თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ყველაფერს აკეთებენ, ნორმალურად რომ მივიღონ. რაც შეეხება ჩვენს მორაგბეებს, ბიჭები ჯანზე არიან და საბრძოლველად ემზადებიან.

ბაჩო სვანიძე

2000 წლის 2 აპრილი. საქართველო — რუმინეთი 20:23. ვანო ნადირაძე (მარცხნივ) დერეფანის მოგებას დღესაც შეეცდება

ბადრი ხეხელაშვილის ფოტო

2000 წლის 2 აპრილი. საქართველო — რუმინეთი 20:23. რუმინეთის პეტრე მიტუ (მარცხნივ) არ ეყოლება

სავარაუდო შემადგენლობები

რუმინეთი		საქართველო
ძირითადი შემადგენლობა		
ვალენტინ მაფტეი	15	ბესიკ ხამაშურიძე
ვასილე გიოკი	14	მალხაზ ურჯუკაშვილი
გაბრიელ ბრეზოიანუ	13	თედო ზიბზიბაძე
ნიკოლაე ოპრია	12	ვასილ კაცაძე
რომეო გონტინიაკი	11	ვასილ აბაშიძე
მიხაი ჩოლაკუ	10	პალიკო ჯიმშელაძე
ლუჩან სირბუ	9	ირაკლი აბუსერიძე
ფლორინ კოროდიანუ	8	ილია ზედგინიძე
დანიელ იაკობი	7	გრეგუარ იაშვილი
ალექსანდრუ მანტა (კაპ.)	6	დავით ბოლღაშვილი
ოვიდიუ ტონიცე	5	ვიქტორ დიდებულიძე
სორინ სოკოლი	4	ვანო ნადირაძე
იონ პოპესკუ	3	ლევან ცაბაძე (კაპ.)
სტეფან დემჩი	2	აქვსენტი გიორგაძე
დრაგოშ დიმა	1	მევლუდ მთიულიშვილი
სათადარიგონი		
პეტრუ ბელანი	16	ლევან ჯაველიძე
მარჩელ სოკაჩუ	17	სოსო ნიკოლაენკო
იონუც ჩოფუ	18	ტარიელ რატიანიძე
ჯორჯე კირიაკი	19	ზურაბ მჭედლიშვილი
შერბან გურუნესკუ	20	შოთა მოდებაძე
იონუც ტოფანი	21	კახა ალანია
მიხაი ვიორიანუ	22	ბადრი ხეხელაშვილი

ექვსი ერის ჩემპიონატი. VI ტური. 7-8 აპრილი

ჭირს საფრანგეთთან, როცა მას უჭირს

დღეს ექვსი ერის ჩემპიონატის ბოლო ტურის პირველი მატჩია, ხვალ — მეორე. თუმცა არავის ეგონოს, ტურნირის გამარჯვებული გაირკვევა. საუკეთესოს შესატყობად შემოდგომამდე მოგვიწევს ცდა. ამის მიზეზი კი ბრიტანეთში გავრცელებული თურქულის ეპიდემიაა. საქონლის ჭირის შიშით ირლანდიამ კარანტინი გამოაცხადა და ამიტომაც მისი მონაწილეობით დანიშნული სამი მატჩი გაუქმდა. ხოლო რადგან მორაგბეთა კალენდარი ფრიად გადატვირთულია, მათი გამართვა შემოდგომამდე არაფრით ხერხდება.

„სამყურები“ უქმობენ და თუ სხვები არ ეთამაშებიან, შინ მაინც ვიბურთავთთო და ასეთი იდეა მოუვიდათ: ირლანდიის „მანსტერი“ ევროპის თასის ნახევარფინალშია გასული და „სტად ფრანსესთან“ შეხვედრის წინ ძლიერი სპარინგ-პარნიორი არ აწყენდა. ამიტომ იგი თავისივე მორაგბეებგამოკლებული ირლანდიას შეხვდება. ამ თამაშის გარდა კი უქმეებზე კიდევ ორი შეხვედრაა დანიშნული, რომელთაგან მთავარია:

ინგლისი — საფრანგეთი

ფრანგებისთვის ინგლისელები მუდმივად მთავარი კონკურენტები არიან. თუმცა ახლა, როცა ისინი საფუძვლიან კრიზისს განიცდიან, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვეღარ ჩაებმებიან, მაგრამ ინგლისის დამარცხებებით ერთი სათავისო საქმე მაინც შეიძლება გააკეთონ, რა თქმა უნდა, საკუთარი ქომაგების გახარებისა და პრესტიჟის ამბის გარდა. თუ დღეს თვიქნემში სტუმრები არ წააგებენ, მასპინძლები დიდ სლემს ვერ შეასრულებენ და ისტორიაში პირველი ექვსერული დიდი სლემის შესრულების შანსს „ბაყაყიჭამიებიც“ შეინარჩუნებენ. ოღონდ, ცხადია, სამომავლოდ.

„ბოლოდროინდელი უხეირო შედეგები თვიქნემში საუკეთესო მატჩის ჩატარებას გვაიძულებს. მხოლოდ ასე თუ გავიჯახუნებთ კარს“ — განაცხადა „მამლების“ მენეჯერმა ჟო მაზომ. „ინგლისელებს ევროპაში დომინირება სურთ და ჩვენ ამაში ხელი უნდა შევუშალოთ. ისინი დიდი სლემისთვის იბრძვიან, ჩვენ კი დასაკარგი არაფერი გვაქვს. ეს შეიძლება ,ძალიან დაგვეხმაროს“ — დაამატა მაზომ.

წარმატების მიღწევაში ფრანგებს შეიძლება დაცვა დაეხმაროთ. ბერნარ ლაპორტი დაცვას განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს ხოლმე და ამჯერადაც ასე მოიქცა. შებოჭვების რიცხვის გასაზრდელად მან თავისი შერკინება ცოტათი შეცვალა. მერვე ნომრად კრისტოფ ჟუიეს ნაცვლად კაპიტანი ფაბიენ პელუ დადგება, რომელიც უფრო მობილურია. მესამე ხაზში მის მხარდამხარ კრისტოფ მილერი და ოლივიე მანი თამაშებენ. მათი მთავარი მიზანი დალალიოს, ბეკისა და ჰილის გარღვევების უვნებელყოფა იქნება. ამით „მამლების“ დამრიგებელს სხვადასხვა ეპიზოდებში ინგლისელებისთვის რიცხობრივი უპირატესობის მოსპობა უნდა.

გარდა ამისა, უკანახაზელებსაც ბევრი ოფლის ღვრა დასჭირდებათ ინგლისელები კოლეგების შესაჩერებლად თუ მასპინძლების იერიშებს მეტ-ნაკლებად გაუძლეს, სტუმრებს მერე გამარჯვებაზე ფიქრიც შეეძლებათ. აქვე გეტყვით, რომ ლათინთა უკანა ხაზიც ძლიერ გადახალისებულია წინა მატჩთან შედარებით, როცა ისინი შინ უელსთან დამარცხდნენ.

ნაკრებს დაუბრუნდა სტეფან გლა, რომელსაც ლურჯი მაისურა 1999 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ აღარ გაუოფლიანებია. ცენტრში მას ქსავიე გარბაჯზა შეუამხანაგდება. გარემარბად კი ისევ ფილიპ ბერნა-სალი და კრისტოფ დომინისი იქნებიან. მცველად ბოლოჯერ ითამაშებს ნაკრებში ჟანლუკ სადურნი, გარე ნახევარმცველად კრისტოფ ლამეზონის ნაცვლად მომჯობინებული მერსერონი გამოვა, რომელსაც უელსთან ტრავმა მიეღო.

ინგლისი კი ისე კარგად თამაშობს, მისი დამრიგებელი კლაივ ვუდვორდი თითქმის არანაირ ცვლილებებს არ მიმართავს. თუმცა იგი დამშვიდების უფლებას მაინც არ აძლევს თავის თავსა და თავის მორაგბეებს და ქომაგებსაც აფრთხილებს, რომ ძალიან ძნელი თამაში ელით „დაჭრილ“ ფრანგებთან.

„საფრანგეთი არასდროსაა ისე ძლიერი, როგორც გაჭირვების ჟამს“ — განაცხადა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე კლავ ვუდვორდმა. ჩვენ დავამატებთ, რომ მატჩის გამარჯვებულის ვინაობა, ფაქტობრივად, წინდაწინვეა გარკვეული. ოღონდ...

უელსი — იტალია

ეს მატჩი კვირას გაიმართება და მასზე ბევრი საუბარი არც ღირს. მეტოქეებმა და მთელმა სარაგბო სამყარომაც ძალიან კარგად იცის, რომ უელსი მოიგებს. სხვა შედეგი, მით უმეტეს, უელსელთა საფრანგეთში გამარჯვების შემდეგ, წარმოუდგენელია. იტალიამ თუ მაინც არ წააგო და ექვსი ერის ჩემპიონატის პირველ ხის კოვზსაც (სიმბოლური პრიზი ყველა მარცხისთვის) გადაურჩა, ეს უდიდეს სენსაციად ჩაითვლება.

აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა რიგებში პირველადაა მიწვეული გევინ ტომასი, რომელმაც ტრავმირებული სათადარიგო ლუისი შეცვალა.

გაგი გურული

გერმანიას მშრალად ვძლიეთ

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა მსოფლიოს თასის B ჯგუფში ასპარეზობა წარმატებით დაიწყო. ქართველმა ყმაწვილებმა პირველ მატჩში გერმანელი თანატოლები დაიბრიყვეს და შეხვედრა მშრალად — 29:0 მოიგეს. ჩვენებურები მომდევნო მატჩს ხვალ გამართავენ აშშ-ს ნაკრებთან.

შეგახსენებთ, რომ უმცროსი ბორჯღალოსნები ჩილეში მიმდინარე მსოფლიოს თასის B ჯგუფში ასპარეზობენ და A ჯგუფის საგზურის მოპოვებას შეეცდებიან. ელიტაში გადასასვლელად ჩვენს გარდა კიდევ თხუთმეტი გუნდი იბრძვის.

ფრანგების კაპიტანი ფაბიენ პელუ ინგლისთან მერვე ნომრად ითამაშებს

ჩოგბურთი



REUTERS ფლორიანაპოლისიდან

სახელდახელო ტრიბუნების მშენებლობა ფლორიანაპოლისში ნელი ტემპით მიმდინარეობს

ბებერი არანჩასი...

პორტუს (პორტუგალია)
ქალების ღია პირველობა.
თიხნარი. საპრიზო 140 ათასი $

როლან გაროსის სამგზის ჩემპიონ არანჩა სანჩეს ვიკარიოს კარგა ხანია, უკიჟინებენ, სპორტიდან წასვლის დრო მოვიდაო, თუმცა ვეტერანი ესპანელი ახალი თაობისთვის ადგილის დათმობას არც გათხოვების შემდეგ აპირებს. არანჩა ჰორტუს პატარა ტურნირზე პირველად გახლავთ განთესილი და სერიოზული კონკურენტების არყოფნაში 1999 წლის შემდეგ პირველი ტიტულის მოპოვებას გეგმავს.

ზუთშაბათს ესპანელს ერთბაშად ორი მატჩის გამართვა მოუხდა. ჯერ წვიმის გამო წინადღიდან გადმოტანილ პირველი წრის შეხვედრაში მან შვეიცარიელ ემანუელა გალიარდის 6:7 (4:7), 6:0, 6:2 აჯობა, მერე კი თანამემამულე მარია ანტონია სანჩეს ლორენსო დაჯაბნა — 6:4, 6:2.

სეზონის დასაწყისში გაკეთებული მუხლის ოპერაციის შემდეგ პორტუში პირველად იასპარეზა შავკანიანმა ჩანდა რუბინმა. ამერიკელმა თავის პირველ მატჩში რის ვაი-ვაგლახით, მატჩ-პოინტების გადარჩენის შემდეგ ნურია ლაგოსტერა დაამარცხა, თუმცა ბულგარელ ლუბომირა ბახევასთან ველარაფერს გახდა — 6:7 (3:7), 1:6.

მერვედფინალი: მაში სერნა (3, ესპანეთი) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:4, 6:4; სილვია ფარინა (47 იტალია) — კრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) 6:1, 7:5; სილვია ტალია (5, ხორვატია) — მიროსლავა ვავრინეცი (სლოვენია) 6:1, 6:4; რიტა კუტი კისი (უნგრეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 7:5, 6:3

ავთანდილ სვანიძე

ხელბურთი

მამულს თბილისი სჯობს?

დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დაიწყება ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი, მეთოხე ტური.

მართალია, ასპარეზობას უმთავრესი ინტრიგა მოაკლდა მას შემდეგ, რაც წინა ტურში, ვადამდე ხუთი თამაშით ადრე, „სტუ-შევარდენმა“ მორიგი, უკვე მე-11 ტიტული გაინაღდა, მაგრამ საინტერესო და საყურადღებო მაინც დარჩა.

„თბილისი“ და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გუნდი „მამული“ მეორე ადგილისთვის იბრძვიან. მათ დავაში გადამწყვეტი იქნება ურთიერთდაპირისპირება, რომელიც ტურის მესამე დღეს გაიმართება. ბათუმის „მენავთობე“ აგრარელებს ორი წაგებით ჩამორჩება და პრიზიორობის შანსიც პრაქტიკულად დაკარგული აქვს.

მატჩები ყოველდღე 12 საათზე დაიწყება, ის მთავარი, „თბილისი-მამული“ კი ორშაბათს, 9 აპრილს, სამ საათზე შედგება. მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატი 11 აპრილს დასრულდება.

ვითარება	სამი	ტურის	შემდეგ			
სტუ-შევარდენი	15	15	0	0	624:397	45
თბილისი	15	9	1	5	429:438	28
საუ-მამული	15	8	2	5	447:439	26
მენავთობე	15	6	2	7	496:516	20
ჭაბუკთა ნაკრ.	15	2	1	12	425:523	7
ასკ	15	2	0	13	400:508	6

დავეწიოთ და გავუსწროთ ბრაზილიას

ბრაზილიაში ტრიბუნების სახელდახელოდ აგება ლამის ხელოვნებამდეა აყვანილი: დეკისის თასის მატჩები წარსულში რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთი ბაზრობის მანქანების სადგომზე, ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ მასეიოს პლაჟზე ჩატარებულა. ამჯერადაც მასპინძლები ავსტრალიელებ მსოფლიოს მეორე ჩოგნის, გუსტავო კუერტენის მშობლიურ ფლორიანაპოლისში ,ასევე რამდენიმე დღეში აღმართულ დროებით სარბიელზე დაუხვდებიან.

პრობლემა ის არის, რომ შეხვედრის დაწყებამდე 24 საათით ადრე სტადიონზე მუშაობა ჯერაც არ იყო დასრულებული. 10 ათას მაყურებელს, რომელთაც სახელოვანი თანაქალაქელის თამაშის ხილვა სურთ, თავიანთ ადგილებამდე მისაღწევად გიგანტური წუმპეების, ტალახის ჭაობისა და სამშენებლო ნარჩენების მთელი მთის გადალახვა მოუხდება.

ორგანიზატორები ამბობენ, რომ კორტებიცა და ტრიბუნებიც კარგა ხანია, მზად არის, გარემოს კი მხოლოდ „კოსმეტიკური“ შელამაზება სჭირდება, თუმცა ბრაზილიაში სიტყვა „კოსმეტიკურს“, ეტყობა, სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. მაშინ, როდესაც სტუმართა გუნდის ლიდერები — პატრიკ რაფტერი და ლეიტონ ჰიუიტი ვარჯიშობდნენ, ირგვლივ ჩაქუჩების გამაყრუებელი რაკარუკი, გარეთ კი ბულდოზერის ყურთასმენის წამლები ხმა ისმოდა.

კიდევ ერთი საზრუნავი სტადიონის ადგილმდებარეობაა — ქუჩის გადაღმა მდებარე ბაზრიდან კორტამდე დამპალი ხილისა და ბოსტნეულის სუნი აღწევს, რის გამოც სტუმარ-მასპინძლები ხშირად იფარებენ ცხვირზე ხელს.

საოცარია, მაგრამ გიგანტურ ბრაზილიას ერთი ხეირიანი საჩოგბურთო ასპარეზიც კი არ მოეპოვება. იქ სპორტს ძირითადად მდიდრულ კერძო კლუბებში მისდევენ, პატარა ტრიბუნების გამო კი ATP-ის ერთი ტურნირის მასპინძლობისთვისაც ვერ მოუბამთ თავი.

სარბიელი

სპორტული ლატარია კროკო

გერმანია. ბუნდესლიგა. 28-ე ტური

7 აპრილი

18.30	002	აინტრახტ-ლევერკუზენი	2,7	3,0	2,4
18.30	003	კიოლნი-უნტერჰახინგი	1,6	3,4	5,0
18.30	004	ვერდერი-ჰერტა	2,1	3,1	3,2
18.30	005	ფრაიბურგი-ჰამბურგი	1,85	3,1	3,8
18.30	006	მიუნხენი-ბოხუმი	1,5	3,6	5,6
23.15	007	დორტმუნდი-ბაიერნი	2,5	3,0	2,5

8 აპრილი

20.30	008	შალკე-კაიზერსლაუტერნი	2,0	3,1	3,4
20.30	009	ჰანზა-შტუტგარტი	1,8	3,2	3,8

გერმანია. II ბუნდესლიგა. 28-ე ტური

7 აპრილი

18.00	012	ვალდჰოფი-ფიურტი	1,8	3,0	4,2
18.00	013	ალენი-ქემნიცი	1,25	4,4	8,0

8 აპრილი

18.00	014	კიკერსი-არმინია	2,1	3,0	3,3
18.00	015	მაინცი-ობერჰაუზენი	1,9	3,2	3,5
18.00	016	ალემანია-ულმი	1,65	3,2	5,0
18.00	017	ზანქტ პაული-ოსნაბრიუკი	1,3	4,0	7,5

9 აპრილი

23.15	018	როიტლინგენი-მიონხენგლადბახი	2,5	3,0	2,5

ინგლისი. პრემიერლიგა. 32-ე ტური

7 აპრილი

19.00	019	ასტონ ვილა-ვესტ ჰემი	1,8	2,9	4,4
19.00	020	დერბი-ჩელსი	2,7	3,0	2,4
19.00	021	ლიდსი-საუთჰემპტონი	1,3	4,0	7,5
	022	ლიდსი-საუთჰემპტონი 0:1	1,9	3,2	2,6
19.00	023	ლესტერი-ქოვენთრი	1,55	3,5	4,7

8 აპრილი

19.00	024	ევერტონი-სიტი	1,7	3,2	4,4

9 აპრილი

24.00	025	მიდლსბრო-სანდერლენდი	2,3	3,1	2,8

ინგლისი. I დივიზიონი. 41-ე ტური

7 აპრილი

19.00	027	ქრიუ-ბოლტონი	2,7	3,2	2,3
19.00	028	ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	1,45	3,4	6,5
19.00	029	ჯილინგემი-ნორვიჩი	1,9	3,1	3,6
19.00	030	გრიმსბი-ტრანმერი	1,75	3,3	3,8
19.00	031	პორტსმუთი-ნოტინგემი	2,5	3,0	2,5
19.00	032	ქუინზ პარკ-ბლეკბერნი	3,4	3,1	1,9
19.00	033	შეფილდი-ბარნსლი	1,55	3,4	5,0
19.00	034	სტოკპორტი-უენსდი	2,3	2,9	3,0
19.00	035	უოტფორდი-კრისტალ პალასი	1,6	3,4	5,0
19.00	036	უიმბლდონი-ბირმინგემი	2,4	3,0	2,7
19.00	037	ვულვერჰემპტ-ჰადერსფილდი	1,8	3,1	4,0

ინგლისი. II დივიზიონი. 41-ე ტური

7 აპრილი

18.30	038	როვერსი-სუონსი	1,7	3,3	4,2
19.00	039	ბერი-ბრისტოლი	2,4	3,1	2,6
19.00	040	კემბრიჯი-რედინგი	3,0	3,1	2,1
19.00	041	ლუტონი-სტოკი	2,6	3,1	2,4
19.00	042	მილუოლი-როტერჰემი	1,9	3,1	3,6
19.00	043	ნოტსი-კოლჩესტერი	1,7	3,1	4,7
19.00	044	ოქსფორდი-ოლდემი	2,5	3,0	2,5
19.00	045	პორტ ვეილი-უოლსოლი	2,4	3,0	2,7
19.00	046	სუინდონი-ნორთჰემპტონი	2,3	3,1	2,6
19.00	047	უიგანი-ბრენტფორდი	1,45	3,3	7,0
19.00	048	რექსემი-პიტერბრო	1,8	3,0	4,2

ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

9 აპრილი

23.45	049	პორტ ვეილი-როვერსი	1,85	3,0	4,0

ინგლისი. III დივიზიონი. 41-ე ტური

7 აპრილი

19.00	050	ბარნეტი-ჩელტენემი	2,6	3,1	2,4
19.00	051	ბლეკპული-როჩდეილი	1,8	3,0	4,0
19.00	052	კარდიფი-ტორკი	1,3	4,0	7,5
19.00	053	ჰალიფაქსი-ბრაიტონი	2,9	3,2	2,1
19.00	054	ჰალი-სკანთორპი	1,75	3,1	4,2
19.00	055	ლეიტონი-ნესტერფილდი	2,3	3,2	2,7
19.00	056	ლინკოლნი-კარლაილი	1,9	3,1	3,4
19.00	057	მაკლსფილდი-კიდერმინატერი	1,75	3,0	4,4
19.00	058	მენსფილდი-დარლინგტონი	1,85	3,1	3,6
19.00	059	პლიმუთი-ექსეტერი	1,65	3,2	5,0
19.00	060	შრიუსბერი-იორკი	1,8	3,1	3,8
19.00	061	ხაუთენდი-ჰარტლპული	2,5	3,0	2,5

საფრანგეთი. I დივიზიონი. 30-ე ტური

7 აპრილი

20.15	063	ლიონი-მონაკო	1,65	3,1	4,7
23.00	064	პსჟ-ოსერი	1,75	3,0	4,4
23.00	065	სედანი-გენგამი	1,7	3,1	4,7
23.00	066	ბასტია-ლანსი	1,7	3,1	4,7
23.00	067	რენი-მარსელი	1,8	3,0	4,0
23.00	068	მეცი-ნანტი	2,7	3,0	2,4
23.00	069	ტრუა-სენტ ეტიენი	1,6	3,2	5,0
23.00	070	სტრასბური-ტულუზი	1,9	3,1	3,4

საფრანგეთი. II დივიზიონი. 34-ე ტური

7 აპრილი

23.00	071	აიაჩო-ბოვე	1,8	2,8	4,7
23.00	072	შატორუ-კაენი	1,65	3,1	5,3
23.00	073	კანი-კრეტეი	2,2	2,9	3,2
23.00	074	ლორიანი-გენინონი	1,45	3,4	6,5
23.00	075	ლე აერი-ნანსი	2,4	2,8	2,7
23.00	076	ანჟე-ნიცა	2,4	2,8	2,7
23.00	077	მარტიგი-ნიმი	2,2	2,8	3,3
23.00	078	ლე მანი-ნიორი	2,3	2,7	3,2
23.00	079	მონპელიე-ვასკეალი	1,35	3,6	7,5

8 აპრილი

20.00	080	სოშო-ლავალი	1,55	3,1	6,0

იტალია. სერია A. 25-ე ტური

7 აპრილი

23.30	081	ლაციო-პარმა	1,6	3,0	5,6

8 აპრილი

18.00	082	ბოლონია-პერუჯა	1,5	3,1	7,0
18.00	083	ბრეშა-რეჯინა	1,75	2,9	4,7
18.00	084	ლუნე-ატალანტა	2,3	2,8	3,1
18.00	085	ნაპოლი-მილანი	2,7	2,8	2,5
18.00	086	უდინეზე-ბარი	1,6	3,0	5,6
18.00	087	ვერონა-იუვენტუსი	3,6	2,9	2,0
23.30	088	ინტერი-ვიჩენცა	1,2	5,0	9,0
	089	ინტერი-ვიჩენცა 0:1	1,7	3,2	3,2

9 აპრილი

18.00	090	ფიორენტინა-რომა	2,6	2,9	2,5

იტალია. სერია B. 30-ე ტური

8 აპრილი

18.00	092	ანკონა-კროტონე	1,8	2,7	5,0
18.00	093	კოზენცა-კალიარი	1,8	2,7	5,0
18.00	094	ემპოლი-ჩიტადელა	1,75	2,7	5,3
18.00	095	მონცა-ჯენოა	2,4	2,5	3,2
18.00	096	პისტოიეზე-ტერნანა	2,4	2,4	3,4
18.00	097	რავენა-სიენა	2,4	2,5	3,2
18.00	098	სამპდორია-ტრევიზო	1,35	3,6	7,5
18.00	099	ვენეცია-სალერნიტანა	1,45	3,0	9,0

9 აპრილი

23.45	100	პიაჩენცა-პესკარა	1,3	3,8	8,0

იტალია. სერია C1/a. 29-ე ტური

8 აპრილი

19.00	101	ალბინოლეფფე-ლეკო	1,9	2,4	5,0
19.00	102	ალესანდრია-ვარეზე	2,6	2,6	2,8
19.00	103	ალძანო-პიზა	2,5	2,5	3,0
19.00	104	კარარეზე-მოდენა	2,8	2,4	2,7
19.00	105	ნეზენა-ბრეშელო	1,6	2,7	7,0
19.00	106	კომო-არეცო	1,8	2,5	5,0
19.00	107	ლივორნო-ლუმეცანე	1,65	2,7	6,5
19.00	108	ლუკეზე-სპალ	2,1	2,4	4,4
19.00	109	რეჯანა-სპეცია	2,6	2,6	2,8

იტალია. სერია "C1/b". 29-ე ტური

8 აპრილი

19.00	110	ასკოლი-ბენევენტო	1,55	2,8	7,5
19.00	111	კატანია-აველინო	2,0	2,4	4,4
19.00	112	ფანდრია-ჯულიანოვა	2,5	2,5	3,0
19.00	113	მესინა-ლოდიჯანი	1,4	3,1	8,0
19.00	114	ნოჩერინა-აკილა	2,3	2,5	3,2
19.00	115	პალერმო-ატლეტიკო	1,25	4,4	8,0
19.00	116	პეზარო-ფეერმანა	2,2	2,5	3,6
19.00	117	ვიტერბეზე-დი სანგრო	2,5	2,6	2,9

9 აპრილი

23.30	118	სავოია-ტორესი	1,95	2,6	4,2

ესპანეთი. I დივიზიონი. 29-ე ტური

7 აპრილი

24.00	119	რაიო ვალეკანო-ვალენსია	2,5	2,9	2,6

8 აპრილი

21.00	120	სოსიედადი-ოვიედო	1,75	3,1	4,2
21.00	121	ალავესი-ვალიადოლიდი	1,7	3,0	5,0
21.00	122	ესპანიოლი-მალაგა	1,85	3,0	4,0
21.00	123	სელტა-ბილბაო	1,65	3,0	5,0
21.00	124	ოსასუნა-რასინგი	1,85	3,0	4,0
21.00	125	ვილიარეალი-ბარსელონა	2,7	3,0	2,4
21.00	126	ნუმანსია-მალიორკა	2,6	2,8	2,6
22.00	127	ლას პალმასი-რეალი	3,3	3,0	2,1
23.00	128	სარაგოსა-დეპორტივო	2,5	3,0	2,5

ესპანეთი. II დივიზიონი. 32-ე ტური

7 აპრილი

21.00	129	უნივერსიდადი-კორდობა	2,5	2,7	2,8
21.00	130	ლეონდა-უელვა	3,0	2,9	2,2
23.00	131	სევილია-ხაენი	1,35	3,8	7,0

8 აპრილი

15.00	132	ტენერიფე-ატლეტიკო	1,85	3,0	3,5
21.00	133	ეიბარი-ფეროლი	1,7	2,8	5,6
21.00	134	მურსია-ბეტისი	2,6	2,7	2,7
21.00	135	სალამანკა-კომპოსტელა	1,55	3,3	5,3
21.00	136	ლეგანესი-ლევანტე	2,6	2,6	2,8
21.00	137	ალბასეტე-ხეტაფე	1,45	3,4	6,5
21.00	138	სპორტინგი-ელჩე	1,55	3,2	5,6
22.00	139	ესტრემადურა-ბადახოსი	1,9	2,7	4,4

პორტუგალია. I ლიგა. 27-ე ტური

7 აპრილი

23.00	141	ლეირია-სპორტინგი	3,4	3,1	2,0

8 აპრილი

20.00	142	ბელენენსეში-კამპომაიორენსე	1,55	3,4	5,6
20.00	143	ბენფიკა-მარიტიმუ	1,3	4,0	7,5
	144	ბენფიკა-მარიტიმუ 0:1	1,9	3,2	2,6
20.00	145	ბეირა 'მარი-ალვერკა	1,75	3,0	4,4
20.00	146	ავეშა-სალგეირუში	2,7	3,0	2,4
23.00	147	ბოავიშტა-ფარენსე	1,25	4,4	8,0
	148	ბოავიშტა-ფარენსე 0:1	1,8	3,3	2,8
01.00	149	ამადორა-გიმარაეში	2,5	3,0	2,5

9 აპრილი

00.30	150	პორტუ-ჟილ ვისენტე	1,15	5,6	10,0
	151	პორტუ-ჟილ ვისენტე 0:1	1,5	3,5	3,5

პორტუგალია. II ლიგა. 27-ე ტური

7 აპრილი

01.00	152	მაია-იმორტალი	1,2	5,0	9,0
	153	მაია-იმორტალი 0:1	1,7	3,2	3,2

8 აპრილი

20.00	154	სეტუბალი-ნასიონალი	1,65	3,2	5,0
20.00	155	სანტა კლარა-ფელგეირაში	1,15	5,6	10,0
	156	სანტა კლარა-ფელგეირაში0:1	1,5	3,5	3,5
20.00	157	რიუ ავე-ოვარენსე	1,4	3,5	7,0
	158	რიუ ავე-ოვარენსე 0:1	2,0	3,2	2,3
20.00	159	შავეში-ლეცა	2,3	2,9	3,0
20.00	160	ნავალი-ვარზიმი	2,7	3,0	2,4
20.00	161	ესპინიუ-ფრეამუნდე	1,6	3,3	5,3
20.00	162	პენაფიელი-აკადემიკა	1,5	3,4	6,5
20.00	163	მარკუ-ლამაში	2,3	3,0	2,9

ჰოლანდია. I დივიზიონი. 27-ე ტური

7 აპრილი

22.30	165	გრააფსხაპი-როზენდალი	1,55	3,5	5,3
22.30	166	ტვენტე-ვალვაიკი	2,3	3,0	2,9
22.30	167	პერენვენი-ნაიმეგენი	2,0	3,0	3,5
23.00	168	ვიტესი-ტილბურგი	1,65	3,2	5,0

8 აპრილი

16.00	169	აიაქსი-ჰსვ	2,3	3,1	2,8
17.30	170	ბრედა-ფეიენოორდი	3,4	3,1	2,0
17.30	171	სპარტა-სიტარდი	1,8	3,2	3,8
17.30	172	გრონინგენი-როდა	2,6	2,9	2,5

ჰოლანდია. II დივიზიონი. 27-ე ტური

7 აპრილი

22.00	173	ვეენდამი-ექსელსიორი	2,7	3,2	2,3
22.00	174	დორდრეხტი-ჰაარლემი	2,0	3,1	3,2
22.00	175	ჰელმონდი-კამბური	1,6	3,3	5,3
22.00	176	ეინდჰოვენი-იგლსი	2,5	3,0	2,5
22.00	177	ზვოლე-ვოლენდამი	1,75	3,1	4,2
22.00	178	მაასტრიხტი-ოსი	1,7	3,2	4,4
22.00	179	ვენლო-დენ ბოსხი	3,5	3,2	1,9
22.00	180	ჰერაკლესი-ემენი	2,2	3,1	3,0

8 აპრილი

17.30	181	ტელსტარი-დენ ჰააგი	1,7	3,3	4,2

ბელგია. I დივიზიონი. 28-ე ტური

7 აპრილი

23.00	183	ბეერსხოტი-ბევერენი	1,45	3,1	7,0
23.00	184	სტანდარდი-ანტვერპენი	1,25	4,4	8,0
	185	სტანდარდი-ანტვერპენი 0:1	1,8	3,3	2,8

23.00	186	ლოკერენი-ანდერლეხტი	3,4	3,1	2,0
23.00	187	მუსკრონი-ლიერხი	1,7	3,2	4,4
23.00	188	გენტი-გენკი	1,45	3,4	6,5
23.00	189	მეხელენი-სენტ ტრუიდენი	1,9	3,2	3,4
23.00	190	ბრიუგე-ვესტერლო	1,35	4,0	6,5
23.00	191	აალსტი-პარლბეკე	1,75	3,2	4,0

ბელგია. II დივიზიონი. 30-ე ტური

7 აპრილი

22.30	192	დენელი-რუზელარე	2,3	2,9	3,0
22.30	193	ტინენი-ინგელმუნსტერი	2,5	3,0	2,5
23.00	194	ოსტენდე-ბეველი	3,0	2,9	2,3
23.00	195	მაასლანდი-ლომელი	3,6	3,1	1,9
23.00	196	დაინცე-ჰეუსდენი	2,3	3,1	2,8
23.00	197	ჰეკელგემი-ხერკლი	4,2	3,3	1,7

8 აპრილი

18.00	198	მოლენბეკი-ლიეჟი	1,3	4,0	7,5
18.00	199	ტურნჰაუტი-მონსი	1,4	3,5	7,0
18.00	200	დენდერლეუ-სტრომბეკი	2,0	2,9	3,6

საბერძნეთი. 24-ე ტური

7 აპრილი

19.30	201	არისი-აეკ	2,3	3,0	2,9

8 აპრილი

17.00	202	პანიონიოსი-პანაპაიკი	1,65	3,1	5,3
19.30	203	ოლიმპიაკოსი-ქსანთი	1,15	5,6	10,0
	204	ოლიმპიაკოსი-ქსანთი 0:1	1,5	3,5	3,5
19.30	205	იანინა-კალამატა	1,75	3,0	4,4
19.30	206	ათინაიკოსი-პანათინაიკოსი	6,0	3,5	1,5
19.30	207	ეთნიკოსი-პანილიაკოსი	1,7	3,2	4,4
19.30	208	ოფი-იონიკოსი	2,3	2,9	3,0
21.00	209	ირაკლისი-პაოკ	2,3	2,9	3,0

ჩეხეთი. 23-ე ტური

7 აპრილი

19.30	211	ბრნო-იაბლონეცი	1,85	3,0	4,0

8 აპრილი

13.15	212	ჟიჟკოვი-ბლშანი	1,6	3,2	5,6
19.30	213	პრეიბრამი-ბუდეიოვიცე	1,4	3,5	7,0
19.30	214	ბანიკი-პლზენი	1,4	3,5	7,0
19.30	215	ტეპლიცე-დრნოვიცე	1,55	3,4	5,0
19.30	216	ლიბერეცი-ბოჰემიანსი	1,65	3,1	5,3

9 აპრილი

22.00	217	სპარტა-სინოტი	1,2	5,0	9,0
	218	სპარტა-სინოტი 0:1	1,7	3,2	3,2

პოლონეთი. მე-19 ტური

7 აპრილი

18.00	221	კატოვიცე-სტომილი	1,8	2,9	4,4
19.00	222	ზაგლებე-გროცლინი	1,45	3,3	7,0
19.00	223	რუხი-ოდრა	1,9	3,1	3,6
19.00	224	შლიონსკი-პოლონია	2,8	2,9	2,4
20.00	225	ამიცა-რაძიონკოვი	1,4	3,5	7,0
	226	ამიცა-რაძიონკოვი 0:1	2,0	3,2	2,3
20.30	227	პლოცკი-პოგონი	2,9	3,0	2,3

8 აპრილი

17.30	228	ვისლა-გურნიკი	1,25	4,4	8,0
	229	ვისლა-გურნიკი 0:1	1,8	3,3	2,8

თურქეთი. 27-ე ტური

7 აპრილი

17.00	231	ანთალია-ტრაბზონი	2,5	3,0	2,5
17.00	232	ადანა-ანკარაგიუჯიუ	2,9	3,0	2,2
17.00	233	გენჩლერბირლიგი-სამსუნი	2,2	3,1	3,0
21.00	234	დენიზლი-ფენერბაჩე	4,4	3,1	1,7

8 აპრილი

17.00	235	იეთფა-ბურსა (ნეიტრალ.)	2,9	3,2	2,1
17.00	236	იოზგათი-გალათასარაი	6,0	3,5	1,45
17.00	237	ისთანბული-ქოჯაელი	1,8	3,1	4,0
21.00	238	ბეშიქთაში-ერზურუმი	1,15	5,6	10,0
	239	ბეშიქთაში-ერზურუმი 0:1	1,5	3,5	3,5

შოტლანდია. 33-ე ტური

7 აპრილი

16.55	240	სელტიკი-სენტ მირენი	1,1	6,0	12,0
	241	სელტიკი-სენტ მირენი 0:1	1,4	3,6	4,0
19.00	242	აბერდინი-დანდი	2,3	3,2	2,7
19.00	243	დანდი-იუნაიტედი-პართსი	2,7	3,0	2,4
19.00	244	კილმარნოკი-დანფერმლაინი	1,8	3,2	3,6
19.00	245	მოზერუელი-სენტ ჯონსტონი	1,95	3,1	3,4

8 აპრილი

22.05	246	ჰიბერნიანი-რეინჯერსი	2,6	3,1	2,3

ავსტრია. 28-ე ტური

7 აპრილი

18.30	247	აუსტრია-ლინცერი	1,35	4,0	6,5
18.30	248	ბრეგენცი-შტურმი	3,3	3,2	2,0
18.30	249	გრაცერი-ადმირა	1,55	3,5	4,7
22.30	250	ტიროლი-ზალცბურგი	1,45	3,5	6,0

8 აპრილი

19.30	251	რიდი-რაპიდი	2,9	3,0	2,3

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-6 ტური

7 აპრილი

22.30	253	ბაზელი-სიონი	1,9	3,1	3,6
22.30	254	სერვეტი-ლუგანო	1,65	3,2	5,0

8 აპრილი

19.15	255	გრასჰოპერი-ლოზანა	1,75	3,1	4,2

შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-6 ტური

7 აპრილი

20.30	256	არაუ-ვილი	1,8	3,1	3,8
20.30	257	ბელინცონა-იანგ ბოისი	2,4	3,0	2,7
22.30	258	ქსამაქსი-ვინტერთური	1,7	3,1	4,2
22.30	259	ივერდონი-ლუცერნი	2,7	3,0	2,3

შვეიცარია. B ჯგუფი. მე-6 ტური

7 აპრილი

20.30	260	სოლოთურნი-ბადენი	2,3	3,2	2,7
20.30	261	ვანგენი-კარუჟი	2,4	3,1	2,6
22.30	262	დელემონი-ლოკარნო	1,6	3,3	5,3

8 აპრილი

17.30	263	კრინსი-თუნი	2,3	3,1	2,8

დანია. 22-ე ტური

8 აპრილი

18.00	264	ორჰუსი-ოდენსე	2,3	3,2	2,7
18.00	265	ჰერფიოლგეჰადერსლეევი	1,35	4,0	6,5
18.00	266	მიდტიულანდი-ოლბორგი	2,1	3,2	3,1
18.00	267	ვიბორგი-აკადემისკი	1,65	3,2	5,0
20.05	268	ბრონდბიუ-ხილკებორგი	2,0	3,1	3,4

9 აპრილი

22.00	269	ლიუნგბიუ-კოპენჰაგენი	2,3	3,2	2,5

რუსეთი. მე-4 ტური

7 აპრილი

16.00	271	ჩერნომორეცი-როსტსელმაში	1,7	2,8	5,0
18.00	272	სპარტაკი-როტორი	1,2	5,0	9,0
16.00	273	ალანია-კრილია	2,1	2,7	3,2
16.00	274	ანჟი-დინამო	2,3	2,8	2,9
16.00	275	ლოკომოტივი-ფაკელი	1,3	3,6	7,5
16.00	276	სოკოლი-ზილ	1,45	3,0	6,0
18.00	277	ზენიტი-სატურნი	1,65	2,9	5,3

შვედეთი. 1-ლი ტური

7 აპრილი

16.30	278	ჰამარბი-სუნდსვალი	1,65	3,2	4,2

8 აპრილი

16.30	279	ჰეკენი-ჰალმსტადი	3,1	3,2	2,0
16.30	280	ნორჩიოპინგი-ელფსბორგი	2,0	3,1	3,2

9 აპრილი

22.00	281	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	2,1	3,1	3,0
22.00	282	მალმიო-აიკ	2,7	3,0	2,4

ინგლისი. თასის 1/2 ფინალი (ნეიტრალურზე)

8 აპრილი

17.30	283	არსენალი-ტოტენჰემი	1,8	3,2	3,5
20.00	284	უიკომბი-ლივერპული	9,0	5,0	1,2

I ტაიმი/ბირთვადი დრო

			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		გერმანია. ბუნდესლიგა									
		7 აპრილი									
18.30	602	აინტრახტი-ლევერკუზენი	4,2	10,0	20,0	5,3	5,0	4,7	20,0	10,0	3,5
18.30	603	კოლონი-უნტერჰახინგი	2,1	13,0	30,0	3,5	5,3	9,0	18,0	10,0	9,0
18.30	604	ვერდერი-ჰერტა	3,2	10,0	20,0	4,2	5,0	6,3	18,0	10,0	5,0
18.30	605	ფრაიბურგი-ჰამბურგი	2,8	10,0	20,0	4,0	5,0	7,0	18,0	10,0	5,6
18.30	606	მიუნხენი-ბოხუმი	1,9	14,0	35,0	3,2	6,0	10,0	20,0	12,0	10,0
23.15	607	დორტმუნდი-ბაიერნი	3,8	10,0	18,0	4,7	5,0	4,7	18,0	10,0	3,8
		8 აპრილი									
20.30	608	შალკე-კაიზერსლაუტერნი	3,0	11,0	25,0	4,2	5,0	6,0	18,0	10,0	5,0
20.30	609	ჰანზა-შტუტგარტი	2,7	10,0	20,0	4,0	5,0	6,5	15,0	10,0	5,6
		ინგლისი. პრემიერლიგა									
		7 აპრილი									
19.00	610	ასტონ ვილა-ვესტ ჰემი	2,7	12,0	25,0	3,8	4,4	7,5	18,0	10,0	6,5
19.00	611	დერბი-ნელსი	4,0	10,0	20,0	5,0	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
19.00	612	ლიდსი-საუთჰემპტონი	1,6	15,0	30,0	3,2	6,0	12,0	18,0	10,0	10,0
19.00	613	ლესტერი-ქოვენთრი	2,0	13,0	25,0	3,4	5,3	7,5	18,0	10,0	7,0
		8 აპრილი									
19.00	614	ევერტონი-სიტი	2,5	12,0	25,0	3,8	5,3	7,0	18,0	10,0	6,5
		8 აპრილი									
24.00	615	მიდლსბრო-სანდერლენდი	3,8	10,0	18,0	4,7	4,7	5,0	18,0	10,0	4,2
		იტალია. სერია A									
		7 აპრილი									
23.30	616	ლაციო-პარმა	2,4	12,0	22,0	3,4	4,4	8,0	18,0	10,0	8,0
		8 აპრილი									
18.00	617	ბოლონია-პერუჯა	2,2	12,0	22,0	3,2	4,4	9,0	18,0	10,0	9,0
18.00	618	ბრეშა-რეჯინა	2,7	11,0	20,0	3,6	4,4	7,0	18,0	10,0	7,0
18.00	619	ლეჩე-ატალანტა	3,6	10,0	18,0	4,4	4,4	5,3	18,0	10,0	4,4
18.00	620	ნაპოლი-მილანი	4,0	10,0	18,0	4,7	4,2	4,4	18,0	10,0	3,6
18.00	621	უდინეზე-ბარი	2,4	12,0	25,0	3,5	5,0	8,0	18,0	10,0	8,0
18.00	622	ვერონა-იუვენტუსი	5,3	10,0	18,0	6,5	5,0	4,0	25,0	12,0	3,0
23.30	623	ინტერი-ვიჩენცა	1,5	15,0	35,0	2,5	6,5	12,0	18,0	12,0	12,0
		9 აპრილი									
18.00	624	ფიორენტინა-რომა	4,0	10,0	15,0	4,7	4,4	4,4	16,0	10,0	3,8
		ესპანეთი. I დივიზიონი									
		7 აპრილი									
24.00	625	რაიო-ვალეკანო-ვალენსია	3,8	10,0	18,0	4,7	4,7	4,7	18,0	10,0	3,8
		8 აპრილი									
21.00	626	სოსიედადი-ოვიედო	2,5	12,0	20,0	3,8	5,0	6,5	15,0	10,0	6,0
21.00	627	ალავესი-ვალიადოლიდი	2,6	11,0	25,0	3,6	4,4	8,0	18,0	10,0	7,5
21.00	628	ესპანიოლი-მალაგა	2,9	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	18,0	10,0	6,5
21.00	629	სელტა-ბილბაო	2,5	12,0	20,0	3,6	4,7	8,0	18,0	10,0	7,5
21.00	630	ოსასუნა-რასინგი	2,9	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	18,0	10,0	6,5
21.00	631	ვილიარეალი-ბარსელონა	4,2	10,0	18,0	5,3	4,7	4,4	20,0	10,0	3,5
21.00	632	ნუმანსია-მალიორკა	4,0	10,0	18,0	4,7	4,2	4,7	18,0	10,0	4,0
22.00	633	ლას პალმასი-რეალი	5,0	10,0	18,0	6,0	5,0	4,4	25,0	12,0	3,1
23.00	634	სარაგოსა-დეპორტივო	3,8	10,0	18,0	4,7	4,7	4,7	18,0	10,0	3,8

კალათბურთი

7 აპრილი

04.00	810	ვაშინგტონი-ბოსტონი	3,1	12,0	1,2
04.30	811	შარლოტი-დეტროიტი	1,15	12,0	4,0
04.30	812	კლივლენდი-ფინიქსი	3,1	12,0	1,25
05.00	813	დალასი-იუტა	1,55	12,0	1,9
05.30	814	პიუსტონი-ატლანტა	1,05	12,0	6,0
06.00	815	დენვერი-ვანკუვერი	1,1	12,0	5,0
07.30	816	კლიპერსი-სან ანტონიო	2,8	12,0	1,3

8 აპრილი

21.30	817	მაიამი-ნიუ იორკი	1,4	12,0	2,3
22.00	818	ნიუ ჯერსი-ინდიანა	2,5	12,0	1,3
24.00	819	საკრამენტო-პორტლენდი	1,35	12,0	2,5
24.00	820	ტორონტო-ჩიკაგო	1,05	12,0	6,0
02.30	821	მინესოტა-ლეიკერსი	1,7	12,0	1,7
06.00	822	გოლდენ სტეიტი-სან ანტონიო	3,1	12,0	1,25
06.00	823	სიეტლი-მილუოკი	1,35	12,0	2,3

9 აპრილი

04.00	824	ფილადელფია-ბოსტონი	1,25	12,0	2,5
04.30	825	დეტროიტი-ატლანტა	1,3	12,0	2,8
04.30	826	ნიუ იორკი-შარლოტი	1,3	12,0	2,8
05.00	827	ინდიანა-ვაშინგტონი	1,05	12,0	6,0
06.00	828	იუტა-ჰიუსტონი	1,3	12,0	2,5

ჰოკეი

7 აპრილი

24.00	908	ფილადელფია-პიტსბურგი	1,65	4,0	2,8
24.00	909	ფლორიდა-რეინჯერსი	2,1	4,0	2,1
24.00	910	დეტროიტი-კოლორადო	2,0	4,0	2,2
01.20	911	სან ხოსე-დალასი	გაეცნობით ადგილზე		
04.00	912	ბოსტონი-აილენდერსი	გაეცნობით ადგილზე		
04.00	913	მონრეალი-ნიუ ჯერსი	2,7	4,0	1,7
04.00	914	ოტავა-ტორონტო	გაეცნობით ადგილზე		
05.00	915	სენტ ლუისი-ნეშვილი	1,5	4,0	3,4
06.00	916	კალგარი-ლოს ანჯელესი	გაეცნობით ადგილზე		
07.00	917	ვანკუვერი-ედმონტონი	გაეცნობით ადგილზე		

8 აპრილი

22.30	918	კაროლინა-პიტსბურგი	გაეცნობით ადგილზე		
23.00	919	მინესოტა-კოლორადო	3,0	4,0	1,6
24.00	920	ბუფალო-ფილადელფია	1,85	4,0	2,4
24.00	921	ვაშინგტონი-ტამპა ბეი	1,35	4,0	5,0
03.00	922	კოლუმბუსი-ჩიკაგო	2,0	4,0	2,2
05.00	923	ანაჰაიმი-სან ხოსე	გაეცნობით ადგილზე		

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

თბილისში და ქუთაისში

გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიუროები

მისამართი:

თბილისი — ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — ფალიაშვილის ქუჩა №27

სუპროლიგა

SuproLeague

მერვედფინალი. გადამწყვეტი მატჩები. 5 აპრილი

ულქერი 85:88 სკავოლინი

ულქერი: აჩიკი (2), ერდენაი (12), გოლიოვიჩი (12), გონლუმი, გიულერი (6), ბენდლოგტენი (27), ლოლისი (10), ფაჩულია (2 წუთი, 0 ქულა), სარიჯა, ილდირიმი (16)

სკავოლინი: ბუკერი (16), გიგენა (9), ჯონსონი (20), მაჯოლი, ლ. მიდლტონი (13), პეჩილე, ტრაინა (15), ტუშეკი (13), ძანელი (2)

პარტიზანი 62:73 ვილერბანი

პარტიზანი: ბერიჩი (14), ბულატოვიჩი (7), გაიჩი (2), გლინტიჩი (14), მარკოვიჩი (7), მილისავლიევიჩი (6), პეტროვიჩი (6), ვარდა (6)

ვილერბანი: ბილბა (22), ედვარდსი (12), ფრიგუ (19), ჰოფმანი (1), პაშუტინი (9), პლუვი (10), სკიარა

ეფესი 86:67 ლიეტუვოს რიტასი

ეფესი: ბეშოქი (25), პ. დრობნიაკი (16), მულაომეროვიჩი (15), ოქური, ონანი (4), შეფპანოვიჩი (24), თუნჩერი (2), ილმაზი

ლიეტუვოს რიტასი: ელიოტი (9), იარუტისი, ა. იავტოკასი, რ. იავტოკასი (20), კაზლაუსკასი (3), მასიაუსკასი (7), შესტოკასი (6), შიშკაუსკასი (16), სლეზასი (6)

ირაკლისი 75:86 ალბა

ირაკლისი: ხაბივრეტასი (16), ხრიზანტოპულოსი, დიამანტიდისი, კამარიოტისი (5), კარაგუტისი, კარასიოვი (9), ნაკიჩი (9), პაპადოპულოსი (28), პაპაიოანაკეიმი (8)

ალბა: ალექსისი (15), გარისი (2), ჯოტუროვიჩი (18), ლუტკე, ოზთურქი (11), პაპიჩი, პეშიჩი (15), ფელპსი (18), როდლი (7)

დაბრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში

მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე)

პანათინაიკოსი — ალბა
ეფესი — სპლიტი
მაკაბი — სკავოლინი
ცსკა — ვილერბანი

მეოთხედფინალის მატჩები გაიმართება 17 აპრილს, 19 აპრილს და, თუ საჭირო გახდა, 26 აპრილს

REUTERS ბელგრადიდან

პარტიზანი — ვილერბანი.
პარტიზანელი ნიკოლა ბულატოვიჩი ბილ ედვარდსს გაექცა

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აბრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, თბილისის „ვითას“ ყოფილი პრეზიდენტი

გია გაგნიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ვანგმა დალასელებს ტაკო მიხცა

5 აპრილი

იუტა 86:92 საკრამენტო

იუტა: მელოუნი (21)
საკრამენტო: ვებერი (26), სტოიაკოვიჩი (25)

ჰიუსტონი 91:88 სიეტლი

ჰიუსტონი: მობლი (21), ტომასი (17 ქულა, 10 მოხსნა), ფრენსისი (16)
სიეტლი: პეიტონი (20), ბეიკერი (20)

ჩიკაგო 88:100 ლეიკერსი

ჩიკაგო: მილერი (21), ბრენდი (17)
ლეიკერსი: ონილი (39 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ იორკი 93:80 ვაშინგტონი

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (23), რაისი (18), კემბი (16 ქულა, 13 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (31), ალექსანდერი (22)

დენვერი 80:101 სან ანტონიო

დენვერი: ჰეკი (20)
სან ანტონიო: დანკანი (36 ქულა, 13 მოხსნა), ანდერსონი (17)

დალასი 108:94 ატლანტა

დალასი: ჰოვარდი (20), ნოვიცკი (18), ბრენდი (16 ქულა, 15 მოხსნა)
ატლანტა: მუსამედი (23 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება)

REUTERS დალასიდან

დალასი — ატლანტა. ატლანტელი ნაზრ მუსამედი (№2) და დალასელი ვანგ ჟიჟი

ხუთმა აპრილმა მშფოთვარე დასავლეთში დიდი გადაადგილებები მოახდინა. მესამეადგილოსანმა „იუტა ჯაზმა“ შინ „საკრამენტოსთან“ წააგო და ორი საფეხურით დაქვეითდა, წინ კი იმ დღეს გამარჯვებული „ლეიკერსი“ და „დალასი“ გაუშვა.

„დავივიწყოთ დასავლეთ კონფერენციაში გახურებული დოღის შესახებ. მე მხოლოდ გამარჯვება მინდა და ყველაფერი, რაც შეძლია, ისაა, რომ გავაგრძელო თამაში. პლეი ოფს მესამე ადგილზე შევხვდებით თუ მეხუთეზე ამას რა მნიშვნელობა აქვს“ — „იუტელთა“ მხცოვანი ლიდერი კარლ მელოუნი (ცდილობს, გული არ გაიტეხოს, არადა, პლეიოფისწინა განთესვა მართლაც მნიშვნელოვანია. თუ „იუტამ“ კონფერენციის მოწინავე ოთხეულში ადგილი ვერ დაიბრუნა, პლეი ოფის პირველ წრეში მოედნის უპირატესობას დაკარგავს.

„ჯაზმენები“ ველარც შინ გრძნობენ მშვიდად თავს. მათი მშობლიური დარბაზი „დელტა სენთერი“ ნებისმიერისთვის ურთულეს სარბიელად ითვლებოდა, ამ სეზონში კი დასავლეთის ხუთმა მოწინავე გუნდმა იქ ათი მატჩიდან ცხრაჯერ წააქცია „ჯაზი“.

„იუტას“ ეს თამაში უცილობლად უნდა მოეგო, თუნდაც იმიტომ, რომ პირველი მეოთხედის შემდეგ 35:18 ანადგურებდა მეტოქეს. საწყის თორმეტწუთიანში უქმად მყოფმა სტუმრებმა ერთი ამოსუნთქვით აანაზღაურეს ჩამორჩენა და მეოთხე მეოთხედის შუაწელში ცხრა ქულითაც კი დაწინაურდნენ. მასპინძელთაგან ისევ 38 წლის ჯონ სტოქტონმა ივარგა, თანაგუნდელებიც ახეირა, თავადაც ჩაადგო საფინალო სირენამდე 48 წამით ადრე და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა — 87:86, მაგრამ დარჩენილ დროში სტუმრებმა მასპინძლებს ქულა არ ჩააგდებინეს, თავად კი ხუთი მიითვალეს, ყველა საჯარიმოებით და აქედან სამი — იუგოსლავიელმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა.

„იუტა ჯაზის“ მარცხმა გზა გაუხსნა ჩემპიონ „ლეიკერსს“. ფილ ჯეკსონის ბიჭებმაც სტუმრად თავიანთი დამრიგებლის ყოფილი გუნდი, „ჩიკაგო ბულზი“ დაამარცხეს და მეოთხედან მესამე პოზიციაზე აინაცვლეს. არც მეორეობაა უტოპია: „საკრამენტო“ კარგი კია, მაგრამ არც ისე მყარად დგას ამ ადგილზე. „ლეიკერსს“ კვლავ აკლდა მთავარი მექანიკი კობი ბრაიანტი, მაგრამ უმისოდაც იოლი გასეირნება მოიწყო. ლეიკერსელმა დევმა შაკილ ონილმა ბეჩავ „ხარებზე“ „ხელის გასვრა“ იკადრა და მათ თითქმის ოთხი ათეული ქულა დაატეხა თავს. „ჩიკაგო“ იმასღა ცდილობდა, 23 ათასი ქომაგის თვალწინ ძალიან არ შერცხვენილიყო და საპატიო სხვაობით წაეგო. საბოლოოდ „ლეიკერსმა“ თორმეტი ქულით ავჯობა უსახურ მეტოქეს და სეზონის 50-ე გამარჯვებაც ჩაიწერა აქტივში.

პლეი ოფში მოხვედრის ფორმალური შანსის მქონე „სიეტლი“ და „ჰიუსტონი“ ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელში შეხვდნენ ერთმანეთს და დიდი ბრძოლაც გამართეს. სტუდენტობის დროიდან ერთმანეთის მოქიშპე ლამის ორმოც წელს მიტანებულმა ცენტრებმა — ჰიუსტონელმა ჰაკიმ ოლაჯუონმა და სიეტლელმა პატრიკ იუინგმა თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს: ჰაკიმმა შვიდი ქულა მოაგროვა, პატრიკმა ოდენ ხუთი, მათზე უმცროსებმა კი ერთმანეთს სისხლი გაუშრეს. თავდაპირველად მასპინძლებმა იძალეს და გვარიანადაც წინ გაიჭრნენ, ბოლო თორმეტწუთიულს წინ 77:58 იგებდნენ, მაგრამ დასკვნით მეოთხედში მოეშვნენ და მატჩის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე უპირატესობა ქულამდე შემოადნათ — 89:88. მასპინძლებს მშველელად ვინმე კენი ტომასი მოევლინა, რომელმაც ათი წამით ადრე „ჰიუსტონის“ ფარქვეშ შემჭრილ სიეტლელს, რუბენ პატერსონს (12 ქულა) დაუფარა, სულ ბოლო წამებზე კი ჩაუტენა კიდეც სტუმრებს.

„არ მინდა, კომენტარი გავაკეთო, მაგრამ მსაჯები აშკარად შეცდნენ. ტომასმა მტკივნეულად ჩამარტყა ხელში, მათ კი ჯარიმა არ დაუსტვინეს“ — განაცხადა ნამატჩევს რუბენ პატერსონმა.

ხუთ აპრილს „ჰიუსტონთან“ ერთად სხვა ტეხასურმა გუნდებმა — „სან ანტონიომ“ და „დალასმაც“ იმარჯვეს და საკმაოდ იოლადაც. „დალას მავერიქსი“ „ატლანტას“ მასპინძლობდა და ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ მოიგებდა. თუმცა ამ შეხვედრას მაინც დიდი ინტრიგა ახლდა, ყველას აინტერესებდა, შედგებოდა თუ არა ნბა-ში პირველი აზიელის, ვანგ ჟიჟის დებიუტი. დებიუტი შედგა. ტომით ჩინელმა ვანგმა ძლივძლივობით მოიპოვა ნბა-ში თამაშის უფლება, ორი დღის წინ „დალასს“ კონტრაქტი გაუფორმა და „ატლანტასთან“ შეხვედრისას ოფიციალურად შეაბიჯა პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის დიდ ოჯახში.

„თავიდან ცოტას ნერვიულობდა, ამიტომაც მაიკლის (ფინლის) პასი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ თანდათან დაწყნარდა და გულშემატკივართა სიმპათიაც დაიმსახურა. ვფიქრობ, მას აქვს მომავალი ნბა-ში“ — თქვა მატჩის შემდეგ „დალასის“ თავკაცმა დონ ნელსონმა. 216-სანტიმეტრიანმა ჩინელმა მოედანზე რვა წუთი დაჰყო და ექვსი ქულა და სამი მოხსნა გაახერხა. ერთ-ერთი მისი ჩაგდებული ბურთის შემდეგ „დალასმა“ ასქულიან ზღვარს გადააბიჯა, რამაც ქომაგები ერთობ აღაფრთოვანა. წლეულს დალასში დამკვიდრებული წესის თანახმად, თუ „მავერიქსმა“ ასი ქულა დააგროვა, თამაშის დამსწრე თითოეულ ქომაგს მუქთი ტაკო — მექსიკური ბუტერბროდი დაურიგდა.

„ბედნიერი ვარ. როგორც იქნა, ოცნება ამისრულდა. ცხადია, ცოტა ვღელავდი, რადგან სამასი მილიონი თანამემამულე მადევნებდა თვალს“ — თქვა ნამატჩევს სახეგაბადრულმა ვანგმა ჩინურად, რადგან ინგლისურად მხოლოდ ორი ფრაზა იცის: „გამარჯობა“ და „ამერიკული საჭმელი კარგია“.

ირაკლი ფიროსმანი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
ფილადელფია*	52	23	69,3
ნიუ იორკი*	45	30	60,0
მაიამი*	44	30	59,5
ორლანდო*	41	34	54,7
ბოსტონი	34	41	45,3
ნიუ ჯერსი	26	51	33,8
ვაშინგტონი	18	57	24,0

ცენტრალური დივიზიონი

მილუოკი*	48	27	64,0
შარლოტი*	42	33	56,0
ტორონტო*	42	33	56,0
ინდიანა	34	40	45,9
დეტროიტი	28	47	37,3
კლივლენდი	26	48	35,1
ატლანტა	23	52	30,7
ჩიკაგო	12	62	16,2

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

სან ანტონიო*	53	22	70,7
იუტა*	49	26	65,3
დალასი*	49	26	65,3
მინესოტა	44	30	59,5
ჰიუსტონი	41	35	53,9
დენვერი	36	40	47,4
ვანკუვერი	22	53	29,3

წყნარი ოკეანის დივიზიონი

საკრამენტო*	50	24	67,6
ლეიკერსი*	50	26	65,8
პორტლენდი	47	28	62,7
ფინიქსი	46	28	62,2
სიეტლი	41	36	53,2
კლიპერსი	27	48	36,0
გოლდენ სტეიტი	17	57	23,0

* — გავიდა პლეი ოფში

დაამძიმებს კიმს თავისი ნლების სიმძიმე?

REUTERS მონაკოდან

კიმ უნ-იონგი სოკ-ის პრეზიდენტობას უმზნებს

უკვე შეიძლება ითქვას, რომ სოკ-ის საარჩევნო ურნა პირთამდე შეივსო. ყველამ, ვისაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სავარძელში საკუთარი თავი წარმოუდგენია, ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. მათ შორის ყველაზე ბოლოს თავისი ამბიცია საშრეთკორეელმა კიმ უნ-იონგმა გამოხატა. მასაც, ისევე როგორც მის მოცილეებს, სჯერა, რომ მისი მმართველობის დროს ოლიმპიური მოძრაობა უფრო გაძლიერდება და სრულყოფილი გახდება.

პრეზიდენტობის ოთხივე კანდიდატმა ასე თუ ისე ნაწილობრივ გაგვაცნო საარჩევნო პროგრამა, ჩამოაყალიბა, როგორ წარმოუდგენია ოლიმპიური სპორტის მომავალი. გამონაკლისი არც სამხრეთკორეელია. კიმ უნ-იონგმა სოკ-ის პრეზიდენტობის სურვილი სამშაბათს ოფიციალურად დაადასტურა პრესკონფერენციაზე, რომელიც მონაკოში, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა გენერალური ასოციაციის შტაბბინაში გაიმართა და რომელსაც იგი აგერ უკვე 15 წელიწადი ხელმძღვანელობს.

კიმის მხრიდან პრეზიდენტობის სურვილის დადასტურება საინტერესოა იმით, რომ მან ეს სოლტ ლეიკ სიტის ცნობილ მოვლენათა ორი წლის თავზე გამოთქვა.

საქმე ისაა, რომ მაშინ, იმ სამექრთამეო დავიდარაბასთან დაკავშირებულ სოკ-ის მიერ ჩატარებულ შიდა გამოძიების დროს, კიმის სახელს წაეწყდნენ, რასაც მის მიმართ მკაცრი გაფრთხილება მოჰყვა.

საინტერესოა, რომ მაშინ სოკ-ის საგამოძიებო კომისიას საპრეზიდენტო არჩევნებში კიმის ახლანდელი მოცილე, კანადელი დიკ პაუნდი მეთაურობდა.

მოგეხსენებათ, სოკ-ის კომისიამ გამოაშკარავა სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისა და კიმის შვილის, იონ კიმის შორის დადებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ოლიმპიადის ორგანიზატორებს იგი აშშ-ს ერთ-ერთ კომპანიაში უნდა მიეღოთ სამუშაოდ, ხოლო ხელფასს თავად ორგანიზატორები გადაუხდიდნენ. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები სანაცვლოდ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლის შერჩევისას სოლტ ლეიკ სიტის სასარგებლოდ მამის ხმას ითხოვდნენ. თუმც კიმს თავი დამნაშავედ არ უცვნია და აცხადებს, ვერ გამიგია, ამ გაუგებრობაში საიდან აღმოჩნდიო.

„წარმოდგენა არა მაქვს, თუ რატომ გამრიეს ამ საქმეში. მე ხომ მოწყალების გამცემი ვარ და არა მიმღები“ — გაოცებული კითხულობს კიმი.

არადა, თავდაპირველად აშშ-ს პროკურატურას იგი იმავე საქმესთან დაკავშირებით პოტენციურ სამიზნედაც მიაჩნდა, თუმც რაიმე სერიოზული რომ ყოფილიყო, მაშინ ამერიკელ სამართალდამცავებს არაერთხელ ჰქონდათ მისი დაკავების შანსი. სოლტ ლეიკ სიტის მოვლენათა შემდეგ იგი რამდენჯერმე უპრობლემოდ ეწვია აშშ-ს, ბოლოს ჯორჯ ბუშ-უმცროსის საპრეზიდენტო ინაუგურაციასაც დაესწრო.

ასეა თუ ისე, სამხრეთკორეელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ სოკ-ის საპრეზიდენტო ამომრჩევლები მის დადებით მხარეებს გაითვალისწინებენ.

„მთელი ჩემი ცხოვრება სპორტის, ჰუმანიტარული საქმიანობისა და სხვების დახმარებისკენ იყო მიმართული. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია სოკ-ის წევრებზე, რომლებმაც, მიუხედავად ზოგიერთი გაფრთხილებებისა, უნდა განსაჯონ ჩემი წარსული“ — განაცხადა კიმმა.

სხვათა შორის, ზოგიერთი ექსპერტი, მიუხედავად იმისა, რომ 70 წლის კიმს საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევს, ფიქრობს, რომ ბოლო მომენტში ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება მისი ასაკი აღმოჩნდეს.

საქმე ისაა, რომ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის სკანდალმა სოკ-ი აიძულა, ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო. კერძოდ, მათ არაერთი რეფორმა შეიმუშავეს. მათ შორის ერთი ასაკობრივ ლიმიტსაც ითვალისწინებს. რეფორმის თანახმად, სოკ-მა ასაკობრივი ზღვარი 70 წლამდე შეამცირა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი სოკ-ის ახალ წევრებზე ვრცელდება, ამ ორგანიზაციის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ ეს 70 წლის კიმის წისქვილზე არ დაასხამს წყალს.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება კიმი.

„ვინ უფრო ჯანმრთელია? ვის უფრო მეტი სამუშაო აქვს? განა სხვებთან შედარებით 10 წლით ახალგაზრდად არ გამოვიყურები?“ — კითხულობს კიმი.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ კიმის მეტოქეებიდან დიკ პაუნდი 59 წლისაა, ჟაკ როგი და პალ შმიტი მაისში გახდებიან იმავე ხნისა, ხოლო პრეზიდენტობის ერთადერთი მაძიებელი ქალი ანიტა დეფრანცი 48 წლისაა.

და მაინც, თუ კიმმა შეძლო საარჩევნო კამპანიის მოგება, მასზე ერთი შეზღუდვა მაინც გავრცელდება. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში კიმს მხოლოდ 8-წლიანი საპრეზიდენტო მმართველობის ვადის უფლება ექნება. მაშინ, როდესაც მის მეტოქეებს კიდევ ერთხელ, ამჯერად ოთხი წლით, შეეძლებათ, გაიხანგრძლივონ პრეზიდენტობა.

ახლა რაც შეეხება კიმის ბიოგრაფიას: იგი 1986 წლიდან სოკ-ის წევრია, ხოლო გავლენიან აღმასრულებელ კომიტეტში მოღვაწეობის ცხრა წელიწადს ითვლის. გარდა ამისა, კიმი საშრეთ კორეის პარლამენტის წევრიცაა. მას მაღალი თანამდებობები ეკავა მთავრობაში. უმუშავია დიპლომატიურ პოსტებზეც ლონდონში, ვაშინგტონსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. არის ტაეკვონდოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი. გარდა ამისა, გავლენით სარგებლობს ოლიმპიურ სამყაროში. ამ მხრივ მას განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერისაც ეიმედება. კიმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სეულის 1988 წლის ოლიმპიადის ორგანიზებაში, ხელი შეუწყო შეთანხმებას სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჩრდილო და სამხრეთ კორეელთა ერთიანი მარშით გამოსვლასაც.

საკუთარი თავის შეფასებისას კიმი ამბობს, რომ იგი ოლიმპიური ტრადიციების ძველი გვარდიის წარმომადგენელია. ეს მისი საარჩევნო პროგრამიდანაც ჩანს, რომელშიც იგი სპორტში კომერციალიზაციისა და პროფესიონალთა მონაწილეობის წინააღმდეგ გამოდის და ყველას ოლიმპიური იდეალებისკენ შემობრუნებას მოუწოდებს.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტობის მაძიებელთა ერთ ნაწილს, მხედველობაში გვყავს კანადელი დიკ პაუნდი და დღევანდელი წერილის გმირი, ამომრჩეველთა გულის მოსგებად სოკ-ის მიერ შარშან მიღებული რეფორმების შეცვლა განუზრახავს, თუ, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა.

მოგეხსენებათ, შარშან სოკ-ის რეფორმატორთა ჯგუფის მიერ მიღებულმა კანონებმა სოკ-ის წევრთა უფლებები შეზღუდა. აქედან ერთ-ერთი უმთავრესი ოლიმპიადის მსურველ კანდიდატ ქალაქებში ვიზიტების აკრძალვაა. ჰოდა, თუ კანადელ პრეზიდენტობის მაძიებელს კოლეგათა სტატუსის გაფართოება სურს, კიმს ოლიმპიადების მასპინძლობის მსურველ ქალაქებში ვიზიტების განახლება განუზრახავს. მხოლოდ განსხვავება ის იქნება, რომ ამჯერად, ნაცვლად კანდიდატი ქალაქებისა, ჯიბეზე ხელის გაკვრა სოკ-ს მოუწევს.

„სოკ-ის წევრებს უფლება ექნებათ, ორგანიზაციის ხარჯზე ეწვივნონ ოლიმპიადის მაძიებელ ქალაქებს“ — განაცხადა კიმმა.

გიგა გურასაშვილი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

დიადის ხალხი ჩაფლავდა

5 აპრილი

ვაშინგტონი 3:0 ფლორიდა (1:0, 1:0, 1:0)
150 კონოვალჩუკი 13 (23); 2:0 ჰალპერნი 25 (21); 3:0 ზუბრუსი 46 (13)

მონრეალი 3:2 ფილადელფია (0:2, 1:0, 1:0, 1:0)
0:1 ფედოტენკო 7 (14); 0:2 8. სიკორა 18 (5); 1:2 დაიპიუსი 24 (8); 2:2 კოივუ 53 (17); 3:2 სავარდ 64 (21)

ნეშვილი 4:0 კალგარი (0:0, 3:0, 1:0)
1:0 გ. ჯონსონი 21 (15); 2:0 ჩიზარი 26 (12); 3:0 რონინგი 38 (19); 4:0 ლეგვანდი 53 (13)

ვანკუვერი 3:2 ლოს ანჯელესი (1:0, 0:2, 1:0, 1:0)
1:0 სოპელი 1 (4); 1:1 კელი 23 (3); 1:2 დედმარში 34 (16); 2:2 დრაკენი 41 (14); 3:2 დრაკენი 64 (15)

დეტროიტი 4:0 ატლანტა (2:0, 1:0, 1:0)
1:0 ლაპოინტი 9 (26); 2:0 დეკერო 17 (5); 3:0 ლაპოინტი 30 (27); 4:0 კოზლოვი 47 (19)

ტამპა 3:4 რეინჯერსი (0:0, 2:1, 1:2, 0:1)
1:0 სენტ ლუისი 22 (18); 1:1 ფორბსი 27 (1); 2:1 კლაიმერი 37 (5); 2:2 დვორეაკი 42 (31); 3:2 ლეკავალიე 42 (23); 3:3 გროშეკი 52 (9); 3:4 მალოტრა 64 (4)

სენტ ლუისი 4:1 კოლუმბუსი (1:0, 2:0, 1:1)
1:0 ტკაჩუკი 6 (34); 2:0 იანგი 21 (39); 3:0 ტარჯონი 25 (30); 4:0 იანგი 49 (40); 4:1 პიუარდი 51 (10)

სან ხოსე 3:0 ფინიქსი (0:0, 1:0, 2:0)
1:0 მარლო 37 (25); 2:0 სელიანე 43 (32); 3:0 სელიანე 59 (33)



REUTERS ვანკუვერიდან

ვანკუვერი — ლოს ანჯელესი. ვანკუვერელები გამარჯვების და პლეი ოფში მოხვედრას ზეიმობენ

უეინ გრეცკის ბედი არ სწყალობს. მან მოთამაშის კარიერის ბოლო წლებშიც ყველაფერი წააგო, დაწყებული ნაგანოს ოლიმპიადითა და მსოფლიოს თასით, დასრულებული ნჰლ-ის პირველობით, სადაც ორი წლის განმავლობაში მისი გუნდი პლეი ოფის მიღმა რჩებოდა. არ გაუმართლა დიადს ახალ აქმიანობაშიც. საგანგებოდ მისთვის განკუთვნილ ლოჟაში მჯდომი ფინიქსის მფლობელი თავისი ჰოკეისტების ცოდვილობას ადევნებდა თვალს და ძლიერ განიცდიდა იმას, რაც ყინულზე ხდებოდა. იქ კი, რაც საფინალო სასტვენი ახლოვდებოდა, ფინიქსს პლეი ოფში მოხვედრის იმედი თანდათან უქრებოდა. პირველად 1995 წლის შემდეგ „კოიოტები“ თასს მიღმა დარჩნენ და ამაში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს თუ დაადანაშაულებენ. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ფინიქსის პრობლემები სწორედ გრეცკისა და სტივ ელმანის გუნდის სათავეში მისვლისთანავე დაიწყო. თებერვლის ჩავარდნას ლიდერის, კეიტ ტკაჩუკის გაუგებარი გაყიდვაც (თუ ფინანსურ მიზეზს არ გავითვალისწინებთ) მოჰყვა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. და აი, ლოგიკური შედეგიც — სან ხოსესთან წაგება და პლეი ოფის საგზურის დაკარგვა. სხვანაირად, ალბათ, არც იქნებოდა, რადგან თავიდანვე ჩანდა, რომ სან ხოსე მეტოქეზე უფრო მეტად იყო განწყობილი საბრძოლველად, მაშინ, როცა ფინიქსი ნაცემ ძაღლს ჰგავდა, რომელიც მორიგ გალახვას ელოდა. სტუმართა შეტევებს სიმწვავე აშკარად აკლდა და მათგან გამორჩეული შონ ბურკიც კი, რომელმაც პარტნიორთა შეცდომები რამდენჯერმე გამოასწორა, საბოლოოდ უძლური აღმოჩნდა. ახალბედა ოსი ვაანანენმა სანხოსელთა კაპიტან ოუენ ნოლანთან შეჯახებისას შაიბა დაკარგა, მას უმალ ალექსანდრ კოროლიუკი დაეუფლა და პატრიკ მარლოს მიაწოდა. დანარჩენი კი ტექნიკის საქმე იყო.

მესამე პერიოდის დასაწყისში კი ყველაფერი ცხადი გახდა. კვლავ გაიტანა ტეემუ სელიანემ, რომელმაც თავის დროზე სწორედ ფინიქსის წინამორბედში, ვინიპეგში დაიწყო კარიერა. სტეფან მატომ თანაგუნდელს გამორჩევის შანსი მისცა და „ფინურმა ელვამაც“ ხელიდან არ გაუშვა იგი. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ბოლომდე ჯერ კიდევ 18 წუთი რჩებოდა, ნათელი იყო — ფინიქსი მარცხს ვერ გადაურჩებოდა. ჯიბრზე სანხოსელთა ახალბედა მეკარე ევგენი ნაბოკოვიც არ მოადუნა უსაქმურობამ და მან ერთი-ორჯერ ისე სასწაულებრივად იხსნა თავისიანები, რომ მაყურებელი სულ მთლად განაცვიფრა. შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ფინიქსმა მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალა, მაგრამ სელიანეს (7 გოლი ბოლო 3 საშინაო მატჩში) კიდევ ერთი შაიბა მიიღო საკუთარ კარში.

ასე გაცხადდა ვითარება დასავლეთში, რომელიც ჯერ კიდევ წინადღეს უაღრესად გაურკვეველი ჩანდა. გაცხადდა კი იმიტომ, რომ ამ მატჩამდე სულ რაღაც ოცი წუთით ადრე დასრულებული ვანკუვერისა და ლოს ანჯელესის შეხვედრის შედეგმა ყველა დააკმაყოფილა, გარდა ფინიქსისა. ორივემ დაიმსახურა წარმატება. ლოს ანჯელესი ადრეც არაერთხელ შევაქებთ, ახლა კი ვანკუვერის ჯერია. მართალია, მარკუს ნესლუნდისა და ენდრიუ კესელსის გარეშე გუნდს ძალიან გაუჭირდა, ფინიშიც უვარგისი გამოუვიდა, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში მაინც შეძლო სასურველი შედეგის მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ვანკუვერს გამარჯვება ახალბედა, იმედისმომცემმა მოთამაშეებმა მოუტანეს. ორი პერიოდის შემდეგ მასპინძლები აგებდნენ, მაგრამ ჰაროლდ დრაკენმა ჯერ გაათანაბრა, ოვერტაიმის ბოლოსწინა წუთზე კი მართლაც „ოქროს გოლი“ გაიტანა. კანადური გუნდი ნამდვილად იყო მოგების ღირსი, რადგან, მეორე მესამედს თუ არ ჩავთვლით, მეტოქეს სჯობდა. ისე კი, სწორედ ამ პერიოდის ბოლო წამებზე ზიგმუნდ პალფის მასპინძელთა კარში მესამე გოლი რომ გაუტანა, ვინ იცის, მატჩი როგორ დასრულდებოდა, მაგრამ მეკარე ბობ ესენციამ იხსნა ვანკუვერი. რაც შეეხება ფინიქსს, იგი ქულათა რაოდენობით ამ ორ გუნდს შეიძლება კი დაეწიოს, მაგრამ ნაკლები მოგების გამო მაინც პლეი ოფის მიღმა დარჩება.

დანარჩენ მატჩებში მეკარეებმა ისახელეს თავი. ვაშინგტონელმა ოლაფ კოლიგმა (მე-5 შათაუტი) პაველ ბურეს მე-60 გოლის გატანა არ დაანება, ნეშვილელმა მაიკ დანემმა კალგარელთა უკლებლივ ყველა, 33 დარტყმა მოიგერია, ხოლო დეტროიტელ მენი ლეგასს სეზონში მე-2 შათაუტის შესასრულებლად სულ 16 მოგერიება დასჭირდა. მისი გუნდი კი ზედიზედ მეთვრამეტედ არ დამარცხდა შინ, რითაც 19954-55 წლების სეზონში დამყარებული საკლუბო რეკორდი გაიმეორა. სხვათა შორის, მაშინ „წითელფრთიანებმა“ თასი მოიგეს.

ბოლოს და ბოლოს, მოაგროვა 100 ქულა სენტ ლუისმა, რომელიც ამ ზღვარს ხანგრძლივი ჩაავარდნის გამო ვერ სძლევდა. სკოტ იანგმა კი კარიერაში პირველად 40 გოლი მითვალა, მაშინ, როცა მანამდე მისი საუკეთესო შედეგი 30 შაიბა იყო.

საგელ ლარიბიანი

ალმოსავლეთის კონფერენცია

ნიუ ჯერსი*	80	46	12	3	19	288:193	107
ოტავა*	80	46	9	4	21	265:199	105
ვაშინგტონი*	80	40	10	4	26	230:208	94
ბუფალო*	80	45	5	1	29	215:181	96
ფილადელფია*	80	41	11	3	25	234:203	96
პიტსბურგი*	80	41	9	2	28	272:248	93
ტორონტო	80	36	11	5	28	228:202	88
კაროლინა	80	37	9	3	31	205:217	86
ბოსტონი	80	35	8	8	29	221:242	86
რეინჯერსი	81	33	5	1	42	250:287	72
მონრეალი	81	28	8	6	39	206:230	70
ფლორიდა	81	21	13	9	38	197:246	64
ატლანტა	81	23	12	2	44	209:286	60
ტამპა	81	24	6	5	46	200:278	59
აილენდერსი	80	21	7	3	49	180:260	52

დასავლეთის კონფერენცია

კოლორადო*	80	51	10	4	15	263:186	116
დეტროიტი*	81	48	9	4	20	249:199	109
დალასი*	81	47	8	2	24	236:183	104
სენტ ლუისი*	81	42	12	5	22	248:195	101
სან ხოსე*	80	39	12	2	27	209:186	92
ედმონტონი*	81	38	12	3	28	239:220	91
ლოს ანჯელესი*	81	37	13	3	28	249:226	90
ვანკუვერი*	81	36	11	7	27	237:234	90
ფინიქსი	81	34	17	3	27	209:210	88
ნეშვილი	81	34	9	3	35	186:199	80
კალგარი	81	27	15	4	35	195:233	73
ჩიკაგო	80	29	8	4	39	207:241	70
კოლუმბუსი	80	27	9	6	38	184:227	69
ანაჰაიმი	80	25	11	5	39	185:236	66
მინესოტა	80	24	13	6	38	163:204	66

* — გავიდა პლეი ოფში

AP დალასიდან

მოთამაშე ქიქი, გასარებული ვანგი

ესაც აღსრულდა: „დალას მავერიქსის“ მწვრთნელი დონ ნელსონი „ატლანტა ჰოქსის“ წინააღმდეგ მოედანზე უშვებს ნბა-ს ისტორიაში პირველ ჩინელს ვანგ ჟიჟის. ტრიბუნაზე კი დგას ამაყი ჩინელი გულშემატკივარი კეიან ვანგი და ამ დარბაზში მხოლოდ ჟიჟისთვის გასაგები პლაკატით ესალმება თანამემამულეს. ჟიჟის რვა წუთი უთამაშია და ექვსი ქულა მოუტანია მასპინძელთათვის, რომლებსაც 108:94 მოუგიათ.

REUTERS ათენიდან

ათენის წარმოდგენა

2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელმა, საბერძნეთის დედაქალაქმა ათენმა გუშინ პირველი ოლიმპიური პრეზენტაცია გაიმართა და ათენის ოლიმპიური სიმბოლიკის პირველი ღია ჩვენებაც შესთავაზა მსოფლიოს. სამოსი, სუვენირები, დროშები და ათასი სხვა ნივთი ნორჩმა სპორტსმენებმა წარუდგინეს იქ შეყრილ ხალხს.

კარგ ხასიათზე

ხუთას კუბურსანტიმეტრიან მოტოძრავთა ღმუილი პირველად ტოკიოს სუძუკას ტრასაზე გაისმის ხოლმე. სწორედ იაპონიის დიდი პრიზი გახლავთ სეზონის გამხსნელი შეჯიბრი ამ სპორტში. ორიწლისწინანდელი მსოფლიო ჩემპიონი, ესპანელი ალექს კრივიე სუძუკას კიდეზე დგას და ტრასის დედოფლებთან, ნაომი სეტანისა და ჰიროე ტაკაკურასთან ერთად იწონებს თავს. სეზონის წინ ყველა კარგ ხასიათზეა.

REUTERS სუძუკადან

კარსუკან

ჰოკეისტებმ რომ გადაირეკვიან, საჩხუბარი ადგილის შერჩევას არ დაგიდეკენ. როგორც მთვრალები წაესევიან ხოლმე ერთმანეთს დუქნის კარს უკან, ისე ნეშვილელი სკოტ უოკერი (24) და კალგარელი კლარკ უილმსი ჩააფრინდნენ ერთმანეთს ჰოკეის კარს უკან. ორ, თუნდ ზორბა მსაჯს ამათი ჩაწყნარება ძალიან გაუჭირდა... მერე საკარიმოებიც ჩამოურიგებიათ, თამაში კი „ნეშვილს“ მოუგია მშრალად — 4:0

AP ნეშვილიდან

REUTERS ამსტერდამიდან

სახალისო მოთამაშეობა

გუშინ გერმანელი და ჰოლანდიელი ჩოგბურთელები დევისი თასის მეორე რაუნდში შეებნენ ერთმანეთს. უფრო სწორად, მათი სადევისო შეხვედრა დაიწყო. გუშინწინ კი ჰოლანდიელმა ჩოგბურთელმა პოლ ჰაარჰუსმა და იან სიმერინკმა სახალხო ჩოგბურთი გამართეს ამსტერდამის რატუშის წინ. ბავშვები დიდად გაერთნენ.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პანტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავთ გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნალირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გაეზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge